



4 მაისი, 2017

ხუთშაბათი, №5 (2207)

ევროპული კვლევების საბჭოს პროგრამაში თანაბარფლავიანი მონაწილეობის შესაძლებლობა

ევროპული კვლევების საბჭო (ERC) არის ერთ-ერთი ნაწილი ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო-პროგრამაში „ჰორიზონტი 2020“-ისა. 2016 წლის 29 აპრილის შემდეგ, რაც საქართველომ „ჰორიზონტი 2020“-თან ასოცირების შეთანხმებას ხელი მოაწერა, ქართველ მეცნიერებს ევროპული კვლევების საბჭოს პროგრამებში თანაბარფლავიანი მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცათ.

83. 8



გიორგი ჯვირიაშვილი: უნივერსიტეტი თანამედროვე ახალგაიური ცენტრი ხდება აშშ-ს გაცვლითი პროგრამების მონაწილეთა ლიდერობის ფორუმი თსუ-ში



28 აპრილს აშშ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის 25 წლის იუბილეს აღსანიშნავად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აშშ-ს გაცვლითი პროგრამების მონაწილეთა ლიდერობის ფორუმს უმასპინძლა. ფორუმს ესწრებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვიციანიძე, საქართველოში აშშ-ს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი იან კელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ჯვირიაშვილი, აშშ-ს ყოფილი ელჩი საქართველოში კენეთ იალოპცი, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები.

83. 3

სტუდენტებს 66 საკონკრეტო წინადადება დაუფინანსეს

„სტუდენტური პროექტების დაფინანსების ახალი მეთოდი, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავდა, წარმატებით ხორციელდება“, – ასე აფასებენ სტუდენტური პროექტების დაფინანსების საბჭოს მუშაობას თავად საბჭოს წევრები და სტუდენტები.

83. 2



„საქმე გვაქვს შერჩევით სამართალთან და „აუდიტორია 115“-ის წევრების დევნასთან“ – ასე აფასებს „აუდიტორია 115“ შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიების დაწყებას, რომელიც „აუდიტორია 115“-ის რამდენიმე წევრის მიერ გამოცდების გადატანისთვის ჯალბი ცნობების შესაძლო დაშვებასთანა დაკავშირებულია. (აუდიტორია 115\* მათი წევრების მიმართ გამოძიების დაწყების მოტივებზე საუბრობს) 83. 4

აქცენტი

თსუ-ს რექტორის თქმით, უნივერსიტეტი მზადაა საგამოძიებო უწყებებთან თანამშრომლობისთვის. ამ ეტაპზე შსს-ს უნივერსიტეტიდან დოკუმენტაცია არ გამოუთხოვია. (აუდიტორია 115\* მათი წევრების მიმართ გამოძიების დაწყების მოტივებზე საუბრობს) 83. 4

მეტად საინტერესო გამოყენებით სამეცნიერო პროექტზე, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში აღმოჩენილი ბერძნული წარწერების ონლაინ-კატალოგის შექმნას. (ბარძაყალი წარწერები უკვე ონლაინ-კატალოგში იქნება ხელმისაწვდომი) 83. 6

ბევრებმა ადამიანის ფსიქიკაზე – ამ და სხვა საკითხებზე მეცნიერულ კვლევებზე დაურდნობით მიღებულ დასკვნას ამოიკითხავთ ნუგზარ ალექსიძის ახალ წიგნში – „ადამიანი, მუსიკა და ეკოლოგია“. (შესიასწავლით თარგმანი და ხელნაწერი ხელნაწერის მფლობელს) 83. 7

ქართველთაგან მხოლოდ გია დვალის ფლობს ERC გრანტს. (ევროპული კვლევების საბჭოს პროგრამაში თანაბარფლავიანი მონაწილეობის შესაძლებლობა) 83. 8

ნოემრში

- კვების ობიექტი პირველი კორპუსის ეზოში 83. 2
- „აუდიტორია 115“ მათი წევრების მიმართ გამოძიების დაწყების მოტივებზე საუბრობს 83. 4

- ბერძნული წარწერები უკვე ონლაინ-კატალოგში იქნება ხელმისაწვდომი 83. 6
- „ისტორიულ-ეთნოგრაფიული სამხრეთი საქართველო და ქართველები თურქეთში“ 83. 11
- ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობაში საკვლევი ჯერ კიდევ ბევრია 83. 14

ზაალ კოკაია: უნდა გადაფასდეს – ვინ არის მეცნიერი, ვინ – ლექტორი და როგორ უნდა შეერწყას მეცნიერება და განათლება ერთმანეთს 83. 5

ახალი სახელმძღვანელოები ეკონომიკისა და გიზნენის ფაკულტეტზე დევიდ ნ. უეილი „ეკონომიკური ზრდა“ აგნეს ბენასი-კუერი, ბენუა კიური, პიერ ჟაკი, ჟან პისანი-ფერო „ეკონომიკური პოლიტიკა (თეორია და პრაქტიკა)“ სახელმძღვანელოები თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორის ინიციატივით ითარგმნა. 83. 10

# სტუდენტებს 66 საპროექტო წინადადება დაუფინანსეს

ნატო ობოლაძე

„სტუდენტური პროექტების დაფინანსების ახალი მეთოდი, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავდა, წარმატებით ხორციელდება“, – ასე აფასებენ სტუდენტური პროექტების დაფინანსების საბჭოს მუშაობას თავად საბჭოს წევრები და სტუდენტები.

დაფინანსების ახალი წესის ამოქმედებიდან სტუდენტური პროექტების კონკურსის სამი ეტაპი უკვე ჩატარდა. საერთო ჯამში საბჭომ 87 საპროექტო წინადადება განიხილა, მათ შორის 39 სამეცნიერო პროექტი და 48 – საგანმანათლებლო/კულტურული/სპორტული. სამეცნიერო პროექტებიდან დაფინანსდა – 30, საგანმანათლებლო/კულტურული/სპორტული პროექტებიდან კი – 36. იმ სტუდენტებს, რომლებმაც კონკურსში ვერ გაიმარჯვეს, მიეცათ რეკომენდაციები და პროექტების კონკურსში ხელახლა წარდგენის შესაძლებლობა.

სტუდენტური პროექტების დაფინანსების საბჭოს მუშაობის დადებით შედეგებს საბჭოს შემადგენლობა და საკონკურსო კრიტერიუმები განაპირობებს. კონკურსის მიმდინარეობისას მნიშვნელოვან ენიჭება პროექტის შინაარსს, მის აქტუალურობას, კრიტერიუმებთან შესაბამისობას, შედეგზე ორიენტირებულობას. აქედან გამომდინარე, თსუ-მ დააფინანსა ყველა ის

სტუდენტი, რომელთა მიერ წარდგენილი საკონკურსო პროექტები საბჭომ დადებითად შეაფასა. დაფინანსებული პროექტების ავტორებს შორის არიან „აუდიტორია 115“-ის წევრი სტუდენტები, სტუდენტური თვითმმართველობის წევრები და, ასევე, ის სტუდენტები, რომლებიც არც ერთ სტუდენტურ გაერთიანებას არ წარმოადგენენ. ერთ-ერთი საკმაოდ მაღალი შეფასება დაიმსახურა გეოგრაფიის დეპარტამენტის დოქტორანტის, ლიანა ხანდოლიშვილის სამეცნიერო პროექტმა „ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი ღირსშესანიშნავი ძეგლების გეოლოგიური კვლევა“. პროექტი ითვალისწინებს ჭიათურის მუნიციპალიტეტში არსებული 110 მღვიმის შესწავლას, მათ კლასიფიკაციას სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, ტურისტული მარშრუტების დაგეგმვას და ელექტრონული რუკების შექმნას.

სტუდენტებმა ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში ლონისძი-ბაბისძვის პროექტები 30 საქამბრამდე უნდა წარმოადგინონ

„ჩვენი კვლევა 6 თვეზეა გაწერილი, მასში ჩართულია ერთი მაგისტრატურისა და სამი ბაკალავრიატის საფეხური სტუდენტი. პროექტის მთავარი მიზანია ჭიათურის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებაზე ზრუნვა, საზოგადოების ინფორმირება რეგიონში არსებული ღირსშესანიშნავი ბუნებრივი ძეგლების შესახებ. ვაპირებთ ელექტრონული რუკების შექმნას, რომელიც შემდეგ ტურისტულ კომპანიებს გადაეცემა. პროექტის ბიუჯეტი 8620 ლარს შეადგენს“, – განაცხადა ლიანა ხანდოლიშვილმა.

„უნივერსიტეტის მატთან“ შექმნაზე მუშაობს სტუდენტური ჯგუფი, რომელთა შორის სოციოლოგიის დეპარტამენტის მაგისტრანტი, „აუდიტორია 115“-ის წევრი ნათია ქარჩილაძეცაა. პროექტის ავტორთა ჯგუფმა კვლევითი სამუშაოები უკვე დაიწყო. სტუ-



ლიანა ხანდოლიშვილი



ნათია ქარჩილაძე



ნათია ქარჩილაძე

დენტები გეგმავენ სახელმძღვანელოს გამოცემას, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს მიეძღვნება და მასში აისახება ყველა ის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც 1918 წლიდან 2018 წლამდე პირველ ქართულ უნივერსიტეტში მიმდინარეობდა.

„ვაპირებთ, შევისწავლოთ უნივერსიტეტის არქივი, ეროვნული ბიბლიოთეკის არქივი, უნივერსიტეტის ვებგვერდი, სხვადასხვა გაზეთი, სადაც საუბარია უნივერსიტეტის მნიშვნელოვან მოვლენებზე. ვიმუშავებთ 6 თვე – აპრილიდან ოქტომბრის ჩათვლით. თებერვალში, ვფიქრობთ, სახელმძღვანელოს გამოცემას. სამუშაო პროცესში ჩართულია 5 სტუდენტი. ჩვენი ხელმძღვანელი და რეკომენდატორი თსუ-ს ბიბლიოთეკის დირექტორი ზურაბ გაიპარაშვილია. პროექტის ბიუჯეტი დაახლოებით 11 000 ლარია, გაწერილი გვაქვს ყოველი თვე, თუ როდის რომელ გაზეთს შევისწავლით და კონკრეტულად რა სამუშაოს შევასრულებთ. ამ სახელმძღვანელოს გამოცემა მნიშვნელოვანია, რადგან მსგავსი შინაარსის წიგნი არ შექმნილა და საინტერესო იქნება მომავალი მკვლევარებისთვისაც“, – აღნიშნა ნათია ქარჩილაძემ.

თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის, ბახვა კვირიკაშვილის განცხადებით, სტუდენტური პროექტების დაფინანსების ახალი წესი უფრო გამჭვირვალეა, ვიდრე აქამდე მოქმედი. თუმცა, მისი მოსაზრებით, ეს არ ნიშნავს, რომ „წინა პერიოდში მხო-

ლოდ კონკრეტულ სუბიექტებს ჰქონდა რამე ბიუჯეტი და სხვა სტუდენტს არ შეეძლო დაფინანსების მიღება. საბოლოოდ, ახალი მეთოდი იდეურად კარგია, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ სტუდენტებს გვეჭონდეს შესაძლებლობა – დროში ადეკვატურად მოვახერხოთ ჩვენი იდეების განხორციელება.

რაც შეეხება ჩვენ მიერ წარდგენილ პროექტებს, მათი განხორციელება უკვე დაწყებულია. პროექტები არის როგორც სამეცნიერო, ისე საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული მიმართულებით. ჩვენ კიდევ ვაპირებთ პროექტების წარდგენას კომისიისთვის და მთელი სემესტრის განმავლობაში შევთავაზებთ სტუდენტებს სხვადასხვა მიმართულებით საინტერესო აქტივობებს. დარწმუნებული ვარ, სტუდენტები აქტიურად ჩაერთვებიან თვითმმართველობის მიერ განხორციელებულ პროექტებში“, – განაცხადა ბახვა კვირიკაშვილმა.

სტუდენტური პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭო საკონკურსო სამეცნიერო პროექტებს განსახილველად უწყვეტ რეჟიმში იღებს. რაც შეეხება საგანმანათლებლო/კულტურული/სპორტული შინაარსის პროექტებს, მათი წარდგენის ვადებია: მაისში, ივნისში, ივლისსა და სექტემბერში დაგეგმილი ღონისძიებებისთვის – 30 აპრილამდე და ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში დაგეგმილი ღონისძიებებისათვის – 30 სექტემბრამდე.



## კვების ობიექტი ჰირველი ხორჯუსის ეზოში

მაღლივი კორპუსის შემდეგ კვების ობიექტი თსუ-ს პირველი კორპუსის ეზოშიც გაიხსნა. სტუდენტურმა სასადილომ მუშაობა 20 აპრილს დაიწყო. ფასები სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია: მაქსიმალური ფასი, რომელიც მენიუშია მოცემული – 3 ლარია.

„ობიექტი მუშაობს კარგად. კმაყოფილები არიან როგორც პროფესორ-

მასწავლებლები, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტობა. დახურვის საფრთხე არ არსებობს, რადგან ობიექტები არ არიან მოგებაზე ორიენტირებული, მთავარია, საკუთარი შემოსავლებით არსებობა, პერსონალის და კომუნალურების გასტუმრება. პროდუქციას ვყიდულობთ ტენდერით და ყველაფერი უმაღლესი ხარისხის შემოდის“, – გა-

ნაცხადა თსუ-ს კვების ობიექტების მენეჯერმა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის ასისტენტ-პროფესორმა ვალერიან არღუთაშვილმა.

თსუ-ს ორივე კვების ობიექტში სტუდენტები უკვე დასაქმდნენ. ე.წ. მაღლივი კორპუსის სასადილოში ამ

დროისთვის 3 სტუდენტი მუშაობს, მათ შორის ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, ორი კი ბაკალავრიატის სტუდენტია. პირველი კორპუსის ეზოში მდებარე კვების ობიექტში 3 პროფესიული პროგრამის სტუდენტი იმყოფება სტაჟირებაზე.

თსუ-ს პირველი კორპუსის ეზოში კვების ობიექტი 20 აპრილს გაიხსნა.



# გიორგი ჯვირიაშვილი: უნივერსიტეტი თანამედროვე ახალგაზრდა ცენტრი ხდება

## აშშ-ს გაცვლითი პროგრამების მონაწილეთა ლიდერობის ფორუმი თსუ-ში

### 1-ლი გვერდიდან

ფორუმი გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ჯვირიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების 25-წლიანი დიპლომატიური ურთიერთობის პერიოდში განხორციელებული მასშტაბური სასწავლო-გაცვლითი პროგრამების შესახებ, რომლის დახმარებითაც 5 ათასზე მეტმა საქართველოს მოქალაქემ მიიღო უმაღლესი განათლება აშშ-ში. „ჩვენი ურთიერთობა არ დაწყებულა მხოლოდ 25 წლის წინ. 1918 წელს, უნივერსიტეტის დაარსების დღიდან, პირველი უცხოელი პროფესორი, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტში ასწავლიდა, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რობერტ ბლეიკი იყო. 1987-1988 სასწავლო წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა პირველი ჯგუფი გაემგზავრა აშშ-ში. დღეს უკვე მათგანი ძალიან წარმატებულია. ამერიკელების მიერ ამ მიმართულებით დახარჯული ყოველი დოლარი არის წარმატებულად დახარჯული დოლარი. იმედია, ასეთი მასშტაბური დახმარება კვლავ გაგრძელდება“, – განაცხადა თსუ-ს რექტორმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანიშვილმა საქართველო-აშშ-ს დიპლომატიური ურთიერთობების 25-წლიან ისტორიაზე ისაუბრა და ფორუმის მონაწილეებს აშშ-ში სწავლის საკუთარი გამოცდილება გაუზიარა: „1995 წელს პირველად გავიცანი ამერიკა. იმ წელს, კალიფორნიის დევისის უნივერსიტეტის პროფესორი, სილიკონის ველის კონცეფციის სულისჩამდგმელი და სილიკონის ველის ბანკის დამფუძნებელი რობერტ მედინის ჯორჯ შულცთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში, რათა აქ დაეარსებინა აშშ-ს მიერ დაფინანსებული ტრენინგის პირველი პროგრამა, რომელსაც პირველ წელს ერქვა საქართველოს ბიზნესტრენინგის პროგრამა და მეორე წელს – საქართველოს საბანკო საქმის ტრენინგის პროგრამა, რომელშიც მივიღე მონაწილეობა. მე წილად მხვდა პატივი და შეიძლება ითქვას, რომ უფრო გამომიბრუნა, ვყოფილიყავი იმ ათ ქართველ სტუდენტს შორის, რომლებიც სამოქალაქო ომისა და ნგრევის შემდეგ პირდაპირ აშშ-ში ჩავიდნენ. ძალიან რთულია იმ ემოციების გადმოცემა, რომელიც ჩვენ უკვლავს ამერიკაში ჩასვლისთანავე დაგვეუფლა. ერთი თვის განმავლობაში კალიფორნიის დევისის უნივერსიტეტში ვესწრებოდით ლიდერობის, საბაზრო ეკონომიკის ლექციებს. შემდეგ დაგვაწვევილეს და გავგზავნენ სხვადასხვა ქალაქში, ზოგი ლოს-ანჯელესში, ზოგიც – სან-ფრანცისკოში. ორი ჩვენგანი კი, ჩემი ჩათვლით, აღმოჩნდნენ ფრუენში, კალიფორნიის შტატის სოფლის მეურნეობის ცენტრში. ჩემი ერთ-ერთი მეგობარი ხუმრობდა კიდევ – კახეთიდან ჩამოვედი აქ, ვენახებით გარშემორტყმულ ადგილას. ჩვენ ვეხუმრებოდით, რომ ეს ადგილი ზუსტად მასზე იყო მორგებული, რომ იქ შექმნილი გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჩემს საბანკო კარიერაში, რადგან ის დაკავშირებული იყო სასოფლო-სამეურნეო სესხებთან.



როდესაც დავბრუნდი, დავრწმუნდი, რომ ამ გამოცდილებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩემს კარიერაში“, – განაცხადა პრემიერმა და აღნიშნა, რომ სწორედ იმ ორი თვის განმავლობაში მიიღო აშშ-ში სამაგისტრო პროგრამაში მონაწილეობის გადაწყვეტილება. გიორგი კვიციანიშვილმა გაიხსენა, რომ 1997 წელს დაკმაყოფილდა მისი განაცხადი – ედმუნდ მასკის სასტიპენდიო პროგრამაში მონაწილეობის შესახებ: „ეს იყო სპეციალური სამეცნიერო და საფინანსო სამაგისტრო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც წელიწადზე ოდნავ მეტი გავატარე ილინოისის უნივერსიტეტში, კერძოდ ურბან-შამპინში, რომელიც არის ერთ-ერთი უძველესი ამერიკული უნივერსიტეტი და ეს გამოცდილება უნიკალური აღმოჩნდა. როდესაც ჩავედი, წარმოდგენდა არ მქონდა, რომ სწორედ იქ იწყებოდა ახალი ეტაპი ჩემს ცხოვრებაში. შევიძინე მეგობრები მთელი მსოფლიოდან. ვესწრებოდი ლექციებს, რომლებმაც მომცა ის გამოცდილება და ცოდნა, რომელიც იმ დროს ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, ბევრისთვის არ იყო ხელმისაწვდომი. გვასწავლიდნენ საუკეთესო პროფესორები, ხოლო ილინოისის უნივერსიტეტი ცნობილია იმით, რომ მას ძალიან ხშირად სტუმრობენ წამყვანი ამერიკული კომპანიების აღმასრულებელი დირექტორები. კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ ამ გამოცდილებას მე არასოდეს დავივიწყებ“, – განაცხადა გიორგი კვიციანიშვილმა. პრემიერმა ასევე ისაუბრა აშშ-საქართველოს სტრატეგიულ ურთიერთობებზე და საქართველოს ბოლო წლების მიღწევებზე: „დღეს საქართველო არის აშშ-ს სტრატეგიული მოკავშირე.

დღევანდელი საქართველო სრულიად განსხვავდება იმისგან, რასაც ის წარმოადგენდა 20 წლის წინ. უკვე სფეროში მიღწეულია სერიოზული პროგრესი, დაწესებული ჯანდაცვითი და განათლებით და დამთავრებული ეკონომიკით, დემოკრატიით, კანონის უზენაესობითა და ადამიანის უფლებათა დაცვით. ეს მიღწევები იოლად არ მოგვეცა. გააფთრებული ბრძოლა გვიწევდა ბევრი ძალის წინააღმდეგ, სამწუხაროდ, როგორც გარეთ, ისე შინ, რომლებიც ცდილობდნენ ამ პროცესების შეფერხებას. ჩვენმა ერთგულმა ამერიკელმა მეგობრებმა კი ამ გზაზე უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს. მართალია, წინ დიდი სამუშაო გველის, მაგრამ აუცილებლად უნდა მოვახსენოთ დიდი მადლობა ამერიკის შეერთებული შტატებს თანადგომისთვის ჩვენი უახლესი ისტორიის ყველაზე დრამატულ მომენტებში, აქტიური მხარდაჭერისა და წვლილისთვის საქართველოს წარმატების ისტორიის ხორცშესხმაში. მიუხედავად გარე გამოწვევებისა, საქართველოში არასოდეს განულებულა სწრაფვა მშვიდობისკენ როგორც შინ, ისე მთლიანად რეგიონში. სწორედ ეს არის ის საერთო მიზანი, რომელიც ჩვენ გვაკავშირებს ამერიკასთან. ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერას უდიდესი, არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენი წარმატებისთვის და ამერიკა ჩვენი უმთავრესი სტრატეგიული პარტნიორია. შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატებს ჰყავს ერთგული მეგობარი საქართველოს სახით, სტაბილური გეოპოლიტიკური მოკავშირე და სტრატეგიული პარტნიორი, რომელიც იზიარებს ამერიკის ღირებულებებს და გლობალურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრიორიტეტებს. ჩვენ თქვენს გვერდით ვმსახურობთ ავღანეთსა და ერაყში. ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე. ჩვენ ვართ რთულ რეგიონში დემოკრატიული ღირებულებების, სტაბილურობისა და პროგრესის მაგალითი“, – განაცხადა მან და მადლობა გადაუხადა ამერიკის შეერთებული შტატებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსებისა თუ სტიპენდიის დაწესების მიმართულებით გაწეული ძალისხმევით, რომელთა მიზანია, საქართველოს ჰყავდეს მომავალი ლიდერები. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფორუმის მასპინძელი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თანდათან ხდება თანამედროვე აკადემიური ცენტრი და ამაში

გიორგი ჯვირიაშვილი: „მონარული ვარ, რომ ვიმყოფები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჩამს ალბამბარში. მიხარია, როდესაც ვხედავ უნივერსიტეტს, როგორ გამოდებით იცვლება, თანამედროვე აკადემიური ცენტრი ხდება, როდესაც ვხედავ, რომ აკადემიური პერსონალი და სტუდენტები ისეთივე აქტიურები არიან, როგორც წლების წინ. დღეს ჩვენ ვხეივობთ აშშ-სთან ოცდახუთწლიან ურთიერთობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის წვლილი, რომელიც აშშ-ს აკადემიურმა პროგრამებმა შეიტანეს ჩვენი ქვეყნის განვითარებაში, აკადემიური პროგრამებისა და სტიპენდიების დახმარებით საქართველოს მომავლის ლიდერების აღზრდაში“, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანიშვილმა.

აშშ-საქართველო-ს ურთიერთობებზე გაამახვილა ყურადღება აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა იან კლიმ. მისი თქმით, დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებიდან 25 წლის განმავლობაში საქართველოსა და აშშ-ს შორის ღრმა და ფართო ურთიერთობა ჩამოყალიბდა. „საქართველო იზიარებს დემოკრატიულ ღირებულებებს, პატივს სცემს თავისუფალ სიტყვას. განვითარების ამ გზაზე აშშ-ს საქართველოში 4 მილიარდი დოლარის ინვესტიცია განახორციელა. ჩვენ ძალიან ვაფასებთ იმ რეფორმებს, რომელიც საქართველოში გატარდა“, – აღნიშნა ელჩმა.

საქართველოსა და აშშ-ს შორის აკადემიური ურთიერთობა გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო. ინტენსიური გაცვლითი პროგრამები თსუ-სა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებს შორის ამჟამად ხორციელდება, რაც ქართველ სტუდენტს აძლევს საშუალებას მიიღოს დასავლური განათლება და ცხოვრებისეული გამოცდილება. აშშ გაცვლითი პროგრამების მონაწილეთა ლიდერობის ფორუმის ფარგლებში გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე, საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ნიკა სამხარაძე, საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ფონდის (GFSIS) პრეზიდენტი ეკა მეტრეველი, პოლიტიკისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო ჯგუფის (PMCG) დირექტორი ალექსი ალექსიშვილი. მათ დამსწრე საზოგადოებას გაუზიარეს ის გამოცდილება, რომელიც გაცვლით პროგრამებში მიიღეს. ფორუმის დასასრულს, გაიმართა დისკუსია, რომელშიც გაცვლითი პროგრამების მონაწილეებმა სტუდენტებისთვის საინტერესო კითხვებს უპასუხეს.

### მემორანდუმი თსუ-სა და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს შორის

განე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინოვაციების ხელშეწყობის ეკოსისტემის ფორმირების მიზნით თსუ-სა და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს შორის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი თსუ-ს რექტორმა გიორგი ჯვირიაშვილმა და სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ავთანდილ კასრაძემ მოაწერეს. მემორანდუმი ითვალისწინებს უნივერსიტეტის ბაზაზე ინოვაციებისა და

ტექნოლოგიების მიმართულებით სტუდენტური სტარტაპების ხელშეწყობის სივრცის შექმნას; სტუდენტებში ინოვაციური ბიზნეს-იდეების აღმოჩენისა და მათი სტარტაპ კომპანიებად განვითარების ხელშეწყობის მიზნით პრე-აქსელერატორის პროგრამის განხორციელებას; სტუდენტებისთვის ბიზნეს-ტრენინგებისა და სემინარების ინტენსიური, მოკლევადიანი კურსების ჩატარებას; უნივერსიტეტის ბაზაზე ინოვაციური სტუდენტური ბიზნეს-ინიციატივების აღმოჩენას და სხვა.

# „აუდიტორია 115“ მათი წევრების მიმართ გამოძიების დაწყების მოტივებზე საუბრობს

ნატო ობოლაძე

„საქმე გვაქვს შერჩევით სამართალთან და „აუდიტორია 115“-ის წევრების დევნასთან“, – ასე აფასებს „აუდიტორია 115“ შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიების დაწყებას, რომელიც „აუდიტორია 115“-ის რამდენიმე წევრის მიერ გამოცემის გადატანისთვის ქალბი ცნობების შესაძლო დამზადებასთანაა დაკავშირებული. გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 362-ე მუხლით მიმდინარეობს, რომელიც ქალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამის ან ბლანკის დამზადება, გასაღების ან გამოყენებას გულისხმობს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში სასჯელი ჯარიმას ან სამწლიან თავისუფლებას აღკვეთას ითვალისწინებს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ძიება გახეი „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებულ სტატიაზე („აუდიტორია 115“-ის წევრები გამოცემის გადატანისთვის ქალბ ცნობებს ამზადებდნენ?) დაქრდნობით დაიწყო. ბრალი, შესაძლოა, სტუდენტური გაერთიანების 4 წევრს წაუყენონ.

28 აპრილს „აუდიტორია 115“-ის წევრებმა პრესკონფერენცია გამართეს, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტროში ძიების დაწყების მოტივებზე ისაუბრეს. სტუდენტების განცხადებით, მათი დევნა მიზანმიმართულად ხორციელდება, რაც სტუდენტური გაერთიანების სამოქალაქო აქტივობებზე გამოიწვია.

„ბოლო პერიოდში „აუდიტორია 115“-ს ბრძოლა რამდენიმე მიმართულებით წამოიწყო: ჩვენ დავუპირისპირდით განათლების მინისტრს და მის პოლიტიკას უნივერსიტეტში; დავუპირისპირდით საქართველოს საბანკო სექტორს, რომელიც უამრავ მუშას ათავისუფლებს რუსთაველი თუ სხვა ადგილებში; დავუპირისპირდით კომპანიას, რომელიც მაინცდამაინც კარგ და სახარბიელო სამუშაო გარემოს არ უქმნის სტუდენტებს (წიგნების მაღაზიას ვგულისხმობ). ეს სამივე რგოფი – ბანკები, მედიამონოპოლისტები, მინისტრები შეშფოთებულნი არიან ჩვენი ბრძოლით, ამის შედეგია ასეთი აბსურდული ბრალდებები და შურისძიება. „კვირის პალიტრას“ ორი დავა მოვუგეთ ეთიკის ქართლის საბჭოში. ორივე შემთხვევაში ეთიკის საბჭომ თქვა, რომ „კვირის პალიტრა“ დაარღვია ეთიკის ნორმები. ამის შემდეგ, რატომღაც, პროკურატურა თავად მივიდა კვირის პალიტრაში და დაიწყო ძიება. ფაქტია, რის გამოც გვებრძვიან! მეთოდები სასაცილო და სამარცხვინოა,“ – განაცხადა „აუდი-



ამ ეტაპზე შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან დოკუმენტაცია არ გამოუთხოვია

ტორია 115“-ის წევრმა ლევან ლორთქიფანიძემ.

„აუდიტორია 115“-მა თსუ-ს საგამოცდო ცენტრიდან გამოითხოვა ინფორმაცია ბოლო ორი თვის განმავლობაში სტუდენტების მიერ გამოცემის გადატანასთან დაკავშირებით. მათი ინფორმაციით, ამ მოთხოვნით საგამოცდო ცენტრის ადმინისტრაციას, დაახლოებით, 2 ათასმა სტუ-



დენტმა მიმართა. მათი თქმით, ამ საქმეს თუ ჩაუღრმავდებიან, აღმოაჩენენ, რომ გამოცემის გადატანას მსგავსი მეთოდით – ქალბი დოკუმენტაციის წარდგენით არაერთი სტუდენტი მიმართავს და, ასეთ შემთხვევაში, უამრავი სტუდენტის დასჯა გახდება საჭირო, რაც არასერიოზულია.

„ამ საკითხის შესახებ უნივერსიტეტში მოკვლევა ჯერჯერობით ჩატარებული არ არის. კონკრეტული პირების დადანიშნულება არასწორია. კარგად რომ გააანალიზონ ყველა დოკუმენტი, ამ საქმეში მთელი უნივერსიტეტი იქნება ჩართული. ამას ცნობის გაქალბება არ ჰქვია. დაახლოებით ანალოგიურად სკოლის მოსწავლეებიც იგონებენ სხვადასხვა მიზეზს და წერენ ცნობებს.“

ამ გამოძიების დაწყება დაკავშირებულია „აუდიტორია 115“-ის საქმიანობასთან, საპირველმართა აქციასთან. მოვითხოვთ, რომ მოგვცენ გამოხატვის თავისუფლება, გადაადგილების თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება და საკუთარი უფლებების დაცვის უფლება“, – აღნიშნა „აუდიტორია 115“-ის წევრმა მარიამ გულიაშვილმა.

„ყოველდღიურად უამრავი გახეი გამოდის, უამრავი სტატია ქვეყნდება, სადაც უამრავი ბრალდების შინაარსის შემცველი ინფორმაცია მოცემული. მაგალითად, ადამაშაულებენ ამა თუ იმ პირს აფხაზეთის ან სამაჩაბლოს დაკარგვაში. არც ერთ ასეთ სტატიას საგამოცდო მოქმედებები არ მოჰყოლია. სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ მიზანმიმართულად ვდევნიან. ანალოგიური ლოგიკით, დამნაშავეა ქველა ის მოქალაქე, რომელიც ამა თუ იმ ვიდუობორტალზე ფილმებს უყურებს, რადგან არც ერთ განთავსებულ ფილმს არ აქვს ლიცენზია“, – განაცხადა პრესკონფერენციაზე ლევან ლორთქიფანიძემ.

## რექტორის კომენტარი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე მიიჩნევს, რომ თუ ვინმემ რაიმე დარღვევა ჩაიდინა, პასუხი სამართლიანად უნდა მოეთხოვოს და არა – შერჩევითი სამართლის პრინციპით.

„აუდიტორია 115“ იქნება თუ ნებისმიერი სხვა, შერჩევითი სამართალი არ იქნება – ყველას უნდა მოეთხოვოს პასუხი, ვინც რაიმე დარღვევა ჩაიდინა. ძალიან ცუდია გაქალბება თუ ხდება, მაგრამ „აუდიტორია 115“ იქნება თუ ნებისმიერი სხვა – ყველას უნდა მოეთხოვოს პასუხი, ვინც რაიმე დარღვევა გააკეთა და თუ ასეთი ფაქტი დადასტურდა. რაც შეეხება იმას, თუ რატომ გადაიდო ეს გამოცდები, ალბათ, ადმინისტრაციას აქვს თავისი მოსაზრება. ძალიან ცუდი პრაქტიკა გვქონდა გამოცდების ჩაბარების, რომლის გამოსწორებას ვაპირებთ. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს ვიცე-რექტორი და ძალიან მალე შევძლებთ ამის გამოსწორებას. გადავადების პრაქტიკა, რა თქმა უნდა, არსებობს, თუმცა ცუდია გაქალბება – არ უნდა ჩავიდინოთ სიყალბე, მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ შერჩევითად ვინმე დაისაჯოს“, – განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

რექტორის თქმით, თსუ მზადაა საგამოცდო უწყებებთან თანამშრომლობისთვის. ამ ეტაპზე შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან დოკუმენტაცია არ გამოუთხოვია.

## აქცია დასაქმებულთა უფლებებისთვის

ნატო ობოლაძე

„აუდიტორია 115“-მა 1 მაისს აქცია „ვის მხარეს ხარ შენ“ გამართა. სტუდენტური გაერთიანების წევრები საპროტესტო მსვლელობით თსუ-ს პირველი კორპუსიდან პარლამენტის შენობისკენ გაემართნენ, „ვარდების მოედანზე“ მათ პროფკავშირის წარმომადგენლები შეუერთდნენ. საპირველმართა აქციის მონაწილეებმა პარლამენტის წინ მანიფესტი წაიკითხეს. „აუდიტორია 115“-მა მშრომელთა საერთაშორისო დღეს დასაქმებულთა უფლებების დაცვასთან ერთად, რაც პირველ რიგში შრომითი ინსპექციის შექმნას გულისხმობს, უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის საბიუჯეტო დაფინანსებაზე გადასვლა და თსუ-ს სტუდენტური საერთო საცხოვრებლის მოწესრიგება მოითხოვა.

„პირველ რიგში აქციის მთავარი მიზანი იყო დასაქმებულთათვის სოლიდარობის გამოცხადება, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ დღევანდელი ნეოლიბერალური დღის წესრიგი დასაქმებულებს აყენებს ექსპლუატირებულ მდგომარეობაში და პირველი, რაც



ჩვენ, სტუდენტებსა და დემოკრატიულ საზოგადოებას, გვეკლავება – ესაა სოლიდარობა დასაქმებულებისადმი. 1-მა მაისს უკვე სოლიდარობასთან ერთად ბრძოლის შინაარსიც შეიძინა, ვინაიდან ჩვენ გვიწევს ვიბრძოლოთ იმ ადამიანების დასაცავად, რომელთა მეგობრები და თანამშრომლები დასაქმების ადგილებზე უსაფრთხოების ნორმათა არარსებობის გამო ყოველ დღე ზიანდებიან და იღუპებიან. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მარტო 2016 წელს დაღუპულ მუშათა რიცხვი აღწევს 416 ადამიანს, რაც 38%-ით აღემატება წინანდელს. ეს ყოველივე მიუთითებს

სოციალურ კატასტროფაზე, საიდან გამოსავლად ამ ეტაპზე, ქმედითი, აღსრულების მექანიზმის მქონე შრომის ინსპექცია გვესახება და დღევანდელი დღის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა სწორედ შრომის ინსპექციის ამოქმედება გახლდათ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ 1 მაისი არა მხოლოდ მუშებისა და დასაქმებულების, არამედ სხვა ჩაგრული მასებისათვის სოლიდარობის გამოთქმის დღეცაა, ამდენად დღეს ჩვენს აქციაზე ბანკებითა და სამეცნიერო საქმით დაზარალებული ადამიანებიც იდგნენ, რომლებმაც დაკარგეს ბინები. დღეს ჩვენ

სოლიდარობას ვუცხადებდით ვეტერანებსაც, რომლებიც ითხოვენ საკუთარი სტაციონარის აღდგენას“, – განაცხადა „აუდიტორია 115“-ის წევრმა გიორგი ჯავახიძემ.

„აუდიტორია 115“ შრომით უფლებებთან დაკავშირებით სხვადასხვა სახის ღონისძიების განხორციელებას სამომავლოდ გეგმავს. გარდა ამისა, „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონპროექტის დამტკიცების შემდეგ დღის წესრიგში მომდევნო ახალი საკითხის – ხელმისაწვდომი განათლების დაყენებას აპირებს.

# ზაალ ხოხია: უნდა გადავხედოთ – ვინ არის მეცნიერი, ვინ – ლექტორი და როგორ უნდა შევხედოთ მეცნიერებას და განათლებას ერთმანეთს

მია ბორაძე

**უკვე წლებია, მეცნიერების ხელშეწყობა ქვეყნის პრიორიტეტულ მიმართულებათა ჩამონათვალში მუარად იკავებს ადგილს, თუმცა, განათლების და მეცნიერების სფეროს ექსპერტთა აზრით, უოველ 3-4 წელიწადში ერთხელ ახალი რეფორმის დაწყება მეცნიერების განვითარების პროცესს აფერხებს.**

საზოგადოებას ახსოვს, რომ 2012 წელს შეიქმნა განათლებისა და მეცნიერების რეფორმების სახელმწიფო კომისია, რომელშიც მსოფლიოში დღეისათვის ყველაზე ცნობილი ქართველი მეცნიერები გაერთიანდნენ და რომელსაც ფიზიკოსი ვია დვალი ხელმძღვანელობდა. სწორედ ამ კომისიის მიერ შემუშავდა უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების კონცეფციის პროექტი, რომელიც, ექსპერტთა შეფასებით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ საუკეთესო გამოცდილებას ითვალისწინებდა. ამ კომისიის წევრი გახლდათ შვედეთის ლუნდის უნივერსიტეტის ლეროვანი უკრედების ლაბორატორიის ხელმძღვანელი ზაალ ჰოხია, რომელთან საუბარში სწორედ მეცნიერების განვითარების პრობლემებზე დავიწყეთ.



გაგაქვს. ავიღოთ, მაგალითად, ქართველოლოგია. ბევრს აქვს ასეთი მიდგომა – „იმით რაში აინტერესებთ ქართული ენის, ფოლკლორის ან ჩვენი მემკვიდრეობის საკითხები?... როგორ არ აინტერესებთ? ასეც რომ იყოს, შენი ამოცანა სწორედ ისაა, რომ დააინტერესო და მოიხილო უცხოელი მეცნიერი. აფრიკის რომელიმე ტომის ენის საკითხებსაც შეიძლება იკვლევდეს ევროპელი მკვლევარი, არათუ ქართულ ენას, რომელიც ასეთი მდიდარი ისტორიისაა. ბურთი ჩვენს მხარესაა და უნდა გავიტანოთ, დავაინტერესოთ და დავანახოთ ჩვენი პოტენციალი.

**ფიქრობთ, ეს განწყობა მოდის ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირიდან, როცა ჩვენს წევრში ვიხარებოდით და გვეგონა, რომ ჩვენს გარდა ეს არავის აინტერესებდა და ადგილობრივად უნდა გვქონოდა უფრო ახალი და კონფერენციაც. საბჭოთა პერიოდში დამოკიდებულ, რომ აქ უნდა იყო წარმატებული მეცნიერი და არა იქ, ამიტომ ყველაფერი ადგილზე უნდა გვეკეთებინა, მათ შორის კვლევის შეფასებაც.**

**– მეცნიერება საჭარბოვანად მთავრობის პრიორიტეტია ჩამონათვალში წელსაც მოხდა. ასე იყო გასულ წლებშიც: შედეგად, შეიცვალა მიდგომები და მოთხოვნები მკვლევრებისა და პროფესორების მიმართ, გაიზარდა უცხოეთში გამოქვეყნებულ სტატიათა რიცხვიც. აქ საუბრობთ, რომ ცვლილებები შეიძინება და სტანდარტებიც მაღლდება, მაგრამ, როგორ ჩანს, ეს ყველაფერი უცხოეთის თვალთ... თქვენი აზრით, დაიძრა თუ არა მეცნიერების განვითარების პროცესი საჭარბოვანად?**

– მართალი გითხრათ, ვერ ვგრძნობ, რომ ამ კუთხით რამე წინ წავიდა ან ახლა მიდის, მაგრამ, უოველ შემთხვევაში, რეგრესი არ არის. ამას დიდად განაპირობებს რუსთაველის ფონდის და საგრანტო დაფინანსების არსებობა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. იმისდა მიუხედავად, თუ რას ამბობენ, მგონია, რომ ამ ქვეყანაში მეცნიერება რეალურად არ არის პრიორიტეტული და ამაზე ჩემი მოსაზრებაც მაქვს: მეცნიერება ხანგრძლივ ინვესტიციას მოითხოვს. დღეს ჩადებული ინვესტიცია 10 და 20 წლის შემდეგ მოგვცემს ნაყოფს. ისეთი ქვეყნისთვის კი, როგორც საჭარბოვანად, მეცნიერების დაფინანსება, პოლიტიკური თვალსაზრისით, არა მომგებიანია. პოლიტიკოსი დღეს რომ ჩადებს ინვესტიციას, 4 წლის შემდეგ არჩევნება და შედეგი უნდა ნახოს. მეცნიერება ასე მოკლე დროში შედეგს ვერ მოგვცემს. ამიტომ ამის გაკეთება ნაკლებად მიმზიდველია. მიუხედავად ამ განწყობისა, უნდა აღვნიშნო, რომ, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების თვალსაზრისით, საინტერესო რაღაც-რაღაცეები მაინც ხდება: მაგალითად, გაიხსნა ტექნო-პარკი; არ ვიცი, რამდენად განხორციელდება, მაგრამ იგეგმება გრანდიოზული უნივერსიტეტის გახსნა, თუმცა ეს არის ერთეული შემთხვევა.

**– მაშ, რა გზას ხედავთ მეცნიერების განვითარების პროცესის დასაჩქარებლად?**

– დავუბრუნდები ზემოთ ნათქვამს და გეტყვით, რომ გარე რეფორმების გზით უნდა მოხდეს იმ რესურსების და პოტენციალის გამოვლენა და შეფასება, რაც ქვეყანას აქვს – ეს იქნება ინტელექტუალური თუ მატერიალური კუთხით. უნდა გამოიყოს მიმართულებები და ჯგუფები, რომლებსაც შეუძლიათ კონკურენცია



მეცნიერებაში წინასწარ იცოდნენ, რომ თავად წარმატებულთა სიაში ვერ მოხვდებოდნენ, მაგრამ მათ არ უნდოდათ, რომ სხვას მიეღო რაიმე პრივილეგია.

გაუწიონ საერთაშორისო სამეცნიერო დონეს და ისინი უნდა წახალისდეს. ასეთი სიცოცხლისუნარიანი ჯგუფები რომ განვითარდეს, დროთა განმავლობაში გაიყოლებს იმას, ვისაც განვითარების უნარი აქვს. ხოლო ვისაც ეს უნარი არ აქვს, უნდა გაქრეს – შენ ხელოვნურ სუნთქვაზე ვერ ამყოფებ მიმართულებას, იმიტომ, რომ ასე წლის წინ მაღალი დონე ჰქონდა ან საბჭოთა კავშირის დროს წარმატებული იყო. თუ დღეს არ გაქვს საერთაშორისო სტანდარტების სკოლა და ის სიცოცხლისუნარიანი არაა, არ გვაქვს ადამიანი რესურსი ან არ გაქვს ინფრასტრუქტურა, რაც აუცილებელია მისი განვითარებისთვის, ფიზიკურად შეუძლებელია დარგის ან მიმართულების გაცოცხლება. მე იმისიც მჯერა, რომ, როგორც ადრე ბერიტაშვილი ჩამოვიდა და ნულიდან შექმნა სკოლა, ასე შეიძლება დღესაც ვინმე ჩამოვიდეს ან აქ განვითარდეს პიროვნება, რომელიც რომელიმე მიმართულებას ახალ სიცოცხლეს მიანიჭებს. ეს პროცესი დინამიკური უნდა იყოს – დღეს ერთი სუბმენტი განვითარდება, ხვალ – სხვა და მიაღწევს წარმატებას. ჩემი აზრით, ეს დინამიკურობა არის მნიშვნელოვანი და იძლევა იმის საშუალებას, რომ სწრაფად მოხდეს განვითარება. აქვე იმასაც დავძენ, რომ არის ტრადიციული მიმართულებები, რომელსაც მეტი დრო სჭირდება, მაგრამ არის ისეთი მიმართულებები, რომელიც ამგვარ დინამიკას საჭიროებს, რათა სწრაფად მოხდეს მსოფლიო სტანდარტებზე გადატოვა.

**– ეს რაც შეეხება ზოგადად მეცნიერების განვითარებას... უნივერსიტეტში რა უნდა გაკეთდეს? რით უნდა დაიწყოს?**

– პირველ რიგში, უნივერსიტეტთან სამეცნიერო ინსტიტუტების რეალური ინტეგრირება უნდა მოხდეს. იმ ინსტიტუტების თანამშრომლები, რომლებიც უნივერსიტეტთან არიან მიერთებულნი, დღესაც მიიჩნევენ, რომ არ არიან უნივერსიტეტის ნაწილი. ფიქრობთ, თავად უნივერსიტეტიც უნდა იყოს დაინტერესებული, რომ ეს ხალხი მის სივრცეში ინტეგრირდეს. თანამშრომლობა და ურთიერთობა ორმხრივი უნდა იყოს – უნდა ვიცოდეთ, შენთან თანამშრომლობით რას ვიღებ და შენ რა ინტერესს დამოგება გაქვს ამით. უნივერსიტეტმა და სამეცნიერო ინსტიტუტებმა თვალნათლივ უნდა დაინახონ, რა სიკეთე შეუძლიათ მოუტანონ ერთმანეთს. ერთი მხრივ, იმ მეცნიერულმა პოტენციალმა, რაც სამეცნიერო ინსტიტუტებშია და რაც უნივერსიტეტს აქვია და, მეორე მხრივ, განათლების სისტემისადმი წვდომამ და ახალი ცოდნის მიღებამ, რაც ინსტიტუტებს არ აქვს, ერთმანეთი უნდა შეავსოს. კვლევითმა ინსტიტუტებმა სტუდენტებისგან უნდა მოამზადოს ახალი კადრები. ეს კი ამ ორი სეგმენტის ინტეგრაციის გარეშე ვერ მოხდება.

დასავლეთში მეცნიერება კეთდება პოსტდოკების და დოქტორანტების ხელშეწყობით. მაგალითად, მე ვზივარ და სტატიებს და პირობებს ვწერ, რომ დაფინანსება მივიღო, კვლევის კი დოქტორანტები აკეთებენ. ისინი საიდან მოდიან? უნივერსიტეტიდან. ჩემს ლაბორატორიაში მუდმივი თანამდებობა მხოლოდ მე მაქვს, დანარჩენი ყველაფერი საგრანტო სისტემებზე დამოკიდებულია. ასე იქნება საჭარბოვანად, თუ ორივე მხარემ დაინახა ერთმანეთის საჭიროება და მათი ინტეგრაცია მოხდა.

მიჭირს ახლა იმის თქმა, ეს ყველაფერი ადმინისტრაციულად როგორ უნდა განხორციელდეს, მაგრამ, პრინციპი ასეთი უნდა იყოს. აქ ტრადიციამ ასეთი,

რაკილა უნივერსიტეტის თანამშრომელი ხარ, აუცილებლად ლექციას უნდა კითხულობდე. მე შეიძლება წელიწადში ერთი ლექცია წავიკითხო ან არც წავიკითხო, მაგრამ კვლევას ვატარებ და უნივერსიტეტის ნაწილი ვარ. დოქტორანტურა განათლების ბოლო საფეხურია. მე ვასწავლი მათ, მაგრამ არ არის აუცილებელი, უოველდღე ლექციას ვკითხულობდე და სემინარზე შევდიოდე.

აი, ესაა გასაკეთებელი – უნდა გადავხედოთ – ვინ არის მეცნიერი, ვინ ლექტორი, რა ვგალობს პროფესორს, როგორ უნდა შევრწყას მეცნიერება და განათლება ერთმანეთს. თუ მკითხავთ, ესაა რეალისტური გზა იმისა, თუ როგორ განვითარდეს უნივერსიტეტი. დღეს ვხედავ, რომ უნივერსიტეტის ახალი ხელმძღვანელობა ამ გზით მიდის – უოველ შემთხვევაში, თვალნათლივ იკვებება, რომ მას ეს გზა აქვს ალბუული და ასეც უნდა იყოს – ვერ გაქნება პრეტენზია მაღალი დონის უნივერსიტეტზე, თუ კვლევა არ არის ინტეგრირებული სწავლებასთან.

**– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ბევრი მეცნიერი აღუზრდია და მათგან დიდი ნაწილი წარმატებით მოღვაწეობს საზღვარგარეთ. წლებია, ვხედავთ, რომ მათ შორის, ვინც ჯიუტად არ ანებებს თავს მშობლიური უნივერსიტეტის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის ბრძოლას, თქვენც ხართ. ამჯერად რა საგანს კითხულობთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში?**

– დიდი ხანია, მედიცინის მიმართულების დოქტორანტებისთვის შემოვიტანე საგანი „პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება“, რათა მათ, როგორც მომავალმა მკვლევრებმა და ლექტორებმა, იცოდნენ, რომ, გარდა კლასიკური ლექციისა და სემინარისა, არსებობს სხვა მეთოდებიც. ამ კურსის არის მდგომარეობა იმაში, რომ ისინი, როგორც სტუდენტები, თავად მონაწილეობენ სწავლების პროცესში და უშუალოდ ენობიან ამ მეთოდის პრივილეგიას. ეს მეთოდი არ არის ადვილი დასაწერგი, არის ინტერაქტიული და დამუარებულია ჯგუფურ მუშაობაზე. დაახლოებით 100 დოქტორანტი იქნება, ვინც ეს კურსი გაიარა და ჯერ არ მინახავს ვინმე, ვინც ამ მეთოდით არ იყოს აღფრთოვანებული.

მეორე საგანი, რასაც ვასწავლი, ესაა აკადემიური წერა – როგორ გააკეთონ პრეზენტაცია, რას უნდა მიაკვირონ ყურადღება, როგორ დაწერონ სამეცნიერო გრანტი და სამეცნიერო სტატია. ისინი პრაქტიკულად ასრულებენ ამას და ახლა გააქვს სურვილი, იმ დონეზე დაწერონ საგრანტო აპლიკაცია, რომ, ვინაიდან რუსთაველის ფონდმა გრანტების გაცემა უკვე დოქტორანტებისთვისაც დაიწყო, ჩვენმა სტუდენტებმაც სცადონ ბედი. მომავალში ამ კონკურსებში მონაწილეობა სავალდებულო გახდება. არ ვფიქრობ, რომ ყველა დაფინანსდება, მაგრამ, მთავარია, კონკურენტუნარიანი საგრანტო პროექტი დაწერონ და, ექსპერტების შენიშვნების გათვალისწინებით, გაიზარდონ, როგორც მკვლევრები და მეცნიერები. ეს არის მეცნიერების დღევანდელი დღე.

**მომავალში შესაძლებელი იქნება ადამიანის ტვინში დაზიანებული ნეირონების ახლით ჩანაცვლება**

**ზაალ ჰოხიას ახალი პუბლიკაცია და საინტერესო აღმოჩენა**

– წარმოუდგენელია, ესაუბრო ზაალ ჰოხიას და არ დაინტერესდეს მისი ბოლო სამეცნიერო კვლევებით. რას ეტყვით უნივერსიტეტის საზოგადოებას – ამჯერად რა სიახლეები გაქვთ სამეცნიერო ასპარეზზე?

– ბოლო პუბლიკაცია, რომელიც გამოვაქვეყნე, ძალიან საინტერესო აღმო-



# ზაალ ხოხია: უნდა გადაფასდეს – ვინ არის მეცნიერი, ვინ – ტექნიკური და როგორ უნდა შეარჩიოს მეცნიერება და ბანათლება ერთმანეთს

მე-5 გვერდიდან

ჩვენას ეხება – ესაა ტვინის ურედებში დაზიანებული ნეირონების ჩანაცვლება ახალი ნეირონებით.

კვლევა საინტერესო იყო იმდენად, რამდენადაც ექსპერიმენტები ტარდება ვირთაგვეზუ და ნეირონების შესაქმნელად ვიყენებდით ადამიანის კანს და ადამიანის კანიდან მიღებულ ნეირონებს. ეს არის ე.წ. ინდუცირებული პლურიპოტენტული ურედების გამოყენების მეთოდი, რომელიც 2012 წელს ნობელის პრემიით აღინიშნა. ეს მეთოდი გაძლევს საშუალებას, რომ მოახდინო ურედის რეპროგრამირება, ანუ ერთი ტიპის ურედი გარდაქმნა მეორე ტიპის ურედად. ჩვენ ადამიანის კანიდან მიღებული ნერვული ურედები გადავნივრეთ ვირთაგვას იმეშიით დაზიანებულ ტვინის ქერქში. დავაკვირდით, რომ გადანივრები ნეირონები განვითარდა და ჩამოყალიბდა, როგორც ფუნქციური ნეირონი, და რაც უკვლავ მნიშვნელოვანია, მათ სინაფსური კავშირები დაამყარეს მასპინძლის ნეირონებთან. როცა ამ ცდების დროს ვახდენდით ვირთაგვას თათის ან ცხვირის სტიმულაციას, ეს გადანივრები ნეირონები პასუხობდნენ ელექტრული განმუხტებით – ანუ გახდნენ ვირთაგვას ნერვული რკალის ნაწილი და მოხდა მათი ფუნქციური ინტეგრირება მასპინძლის ტვინში, ეს კი თავის მხრივ მიუთითებს იმაზე, რომ მომავალში შესაძლებელი იქნება ადამიანის ტვინში დაზიანებული ნეირონების ახლით ჩანაცვლება. ამ მიდგომით ჩვენ ვაწვდით ტვინს ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებულ ნეირონებს, რათა ტვინში მიმდინარე რეგენერაციის პროცესში მოხდეს მათი გამოყენება და ნერვული რკალის აღდგენა. ეს მასალები გამოიყენება ძალიან ცნობილ სამეცნიერო ჟურნალში „Brain“, რომელსაც ოქსფორდის უნივერსიტეტი გამოსცემს.

ამ ეტაპზე გვიჩინა გავაგრძელოთ ეს კვლევა და ვნახოთ, რამდენად შეაქვს წვლილი ახალი ნეირონების ფუნქციონირებას რეგენერაციის პროცესში. დღეს უკვე ვიცით, რომ გადანივრება იწვევს გაუმჯობესებას, ახლა გვინტერესებს, რამდენად უწყობს ხელს ნერვულ რკალში ახალი ურედების ჩართვა ნეირონული ფუნქციის აღდგენას და რეგენერაციის რა ნაწილშია ისინი მნიშვნელოვანი. ამისთვის მოვახდინეთ გადანივრები ნეირონის აქტივობის შეკავებას გენეტიკური მანიპულირების გზით და ვნახავთ – რა გავლენას იქონიებს ეს ტვინის ფუნქციაზე. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი საინტერესო და მიმზიდველი ჩემი პროექტი...

– და ბოლოს, საქართველოში გახშირდა რეკლამები ღეროვანი ურედების ზანკებისა, რომლებიც მოუწოდებენ ადამიანებს, შეინახონ ახალგაზრდა ჰიპოთალი, რაც, ამ რეკლამების მიხედვით, ბანაცვალა გარკვეული დაავადებების განკურნების პროცესში. ჩვენ ამის თაობაზე ერთხელ უკვე ვისაუბრეთ. მაშინ თქვენ ამბობდით, რომ მთლად ასეც არ არის საქმე...

– ვამბობდი და ახლაც ვიტყვი. ხშირად მეკითხებიან ამის შესახებ და ჩემი პასუხი ესაა: მე რომ გამიჩნდეს შვილი, ჰიპოთალის ღეროვან ურედებს ჩემი შვილისთვის არ შევიინახავ, რადგანაც არ მაქვს გენეტიკური მიდრეკილება არც ჰემატოლოგიური და არც მეტაბოლური დაავადებისკენ. ჰიპოთალის ინდივიდუალური შენახვა, ჩემი აზრით, არ არის გამართლებული. თუმცალა ეს იმას არ ნიშნავს, რომ დონაცია არ მოხდეს და საზოგადოებრივ ზანკში არ დაგროვდეს ეს ღეროვანი ურედები. მათ ის გამოიყენებს, ვისაც დასჭირდება და ვისთვისაც თავსებადი იქნება.

– ვილაცებისთვის ეს ბიზნესი გახდა...

– დიახ, ბიზნესია და ბევრი ადამიანი ამ ბიზნესში ნებაყოფლობით ჩაერთო, მაგრამ წლებია გასულია და მე პირადად ერთი შემთხვევაც არ ვიცი, რომ ვინმემ მოახერხა შენახული ღეროვანი ურედების წარმატებით გამოყენება. ურედები რომც დაგვირგნო, ძალიან ბევრი ფაქტორია, რაც მათ გამოიყენებას პრაქტიკულად შეუძლებელს გახდის და ამის შესახებ ძალიან ბევრჯერ მაქვს დაწერილი.

– თუ იგეგმება ამ მეთოდის კლინიკაში დანერგვა?

– ჩვენ ვმოდგავდით ტრანსილაციური მედიცინაში, რაც გულისხმობს იმას, რომ ის აღმოჩენები, რასაც საზოგადოებრივად, რასაც კლინიკაში იტყვიან, მიტოვებენ და კლინიკაში მხოლოდ იმას იტყვიან, რასაც კლინიკაში იტყვიან. რისი საქმიერება აქვს და რა დანიერგება რეალურად პრაქტიკაში, რომ ღერეული რამ შეიქმნას, რაც საზოგადოებრივად უნდა მოემსახუროს.

ინსულტი არის ინვალიდობის ნომერ პირველი გამომწვევი. დღეისათვის რეალურად ასეთ პაციენტებს ვერაფერს ვთავაზობთ, რომ ის ფუნქცია, რაც დაუჭვითაა, გაუმჯობესდეს. პრაქტიკულად ასე ხდება – თუ გადარჩა ადამიანი, რასაც თავისთავად აღდგენს, აღდგენს, რასაც ვერა, რჩება იგივე მდგომარეობაში. მართალია, არის რეაბილიტაციის კურსი, მაგრამ ეს უფრო ახალ რეალობასთან შეგუებაა, ვიდრე მკურნალობა, მედიკამენტურად ვერ ვხმარებთ. ინსულტის ადრეულ სტადიებში კეთდება ტრომბოლიზი ან ტრომბოქტომია (სისხლის კოატის დაშლა ან ამოღება), მაგრამ ეს ძალიან ხანმოკლე პერიოდში, დაახლოებით 4 საათის განმავლობაში შეიძლება მოხდეს და ამის გაკეთება პაციენტების მხოლოდ მცირე რაოდენობაში ხერხდება. ამის შემდეგ, რეგენერაციის პროცესში, უკვე ვერაფერს ვთავაზობთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მეთოდი, ტვინის შეიძლება დაეხმაროს რეგენერაციაში და ის გახდეს უფრო ჩქარი და ინტენსიური.

## ბერძნული წარწერები უკვე ონლაინ-ხატალოგში იქნება ხელმისაწვდომი

ბიბი ბორაძე

**ბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დასასრულს უახლოვდება მუშაობა მეტად საინტერესო გამოყენებით სამეცნიერო პროექტზე, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში აღმოჩენილი ბერძნული წარწერების ონლაინ-კატალოგის შექმნას. პროექტი 2015 წელს დაფინანსდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდმა. მისი ხელმძღვანელია თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის მიმართულების პროფესორი ლევან გორდუხიანი, ხოლო გუფი, რომელიც უკვე ორი წელია ამ პროექტზე მუშაობს, უნივერსიტეტის პროფესორებისა და პედაგოგებისაგან შედგება. კერძოდ, მასში ჩართულნი არიან თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორები ირინა დარჩია და ეკა კობახიძე, მასწავლებლები ლელა ჩოთაღიშვილი და ნათია ფიფია, ასევე დოქტორანტი ანა ჟორჟოლიანი. პროექტის მიზანი იყო საქართველოში აღმოჩენილი ძველბერძნული წარწერების კომპიუტერული ბაზის შექმნა. რას მოიცავს ეს ბაზა და კონკრეტულად რომელი წარწერები მოქცევა ამჯერად ონლაინ-კატალოგში, გვსაუბრება პროექტის ხელმძღვანელი ლევან გორდუხიანი:**



ლევან გორდუხიანი

მეცნიერი, ხოლო შემდგომ, 90-იანი წლების ბოლოს და ორიათასიანი წლების დასაწყისში, კიდევ რამდენიმე გამოცემა გამოვიდა (მაშინ მძიმე წლები იყო და წიგნებს მცირე ტირაჟით ვუშვებდით). მას შემდეგ, რაც არსებულ ბაზას სიახლეები შეემატა, კიდევ გამოვიდა სერიოზულად გადაამუშავებული კორპუსი, რომელიც 2009 წლით თარიღდება. მასში შესულია ყველა ბერძნული წარწერა, რაც იმ დროისთვის საქართველოში იყო ნაპოვნი. სამწუხაროდ, ზოგი მათგანი, აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების გამო, უკვე დაკარგულია და მათი ბედი არ ვიცი. გარდა ამისა, 2002 წელს გამოვიდა მარია ნასიძის წიგნი „ბერძნული გრაფიტი“, სადაც შევიდა ნაკაწრი (ძირითადად კერამიკაზე ნაპოვნი) წარწერები. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ბერძნული წარწერების კორპუსიდან აგველო წარწერები უძველესი დროიდან ადრექრისტიანული ჩათვლით, დაგვემატებინა გრაფიტი (მონუმენტური დეკორატიული ფერწერის სახესხვაობა – ბათქაშის ზედა თხელ ფენას

კაწრავენ იმდენად, რომ გამოჩნდეს ქვედა ფენა, რომელიც ფერით განსხვავდება ზედა ფენისაგან; წარმოიშვა მე-15-17 სს-ში იტალიაში, საიდანაც გავრცელდა გერმანიაში, ჩეხეთში და სხვ.;) და გაგვხვდა ელექტრონულად ხელმისაწვდომი.

ჩვენმა გუფმა ეს წარწერები ჯერ ტრადიციული სახით მოამზადა და შემდეგ გადაამუშავა – დამზადა სპეციალური ფაილები, რათა მონაცემები საიტზე განთავსდეს. ახლა სწორედ ატივობის პროცესში ვართ და მასში დასაწყისში საიტის ოფიციალურად გახდება ხელმისაწვდომი. იგი ორენოვანი იქნება. მის ინვალისურ ვერსიას ელენე ტატიშვილი ხელმძღვანელობს. აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ, წინასწარი მზადების პროცესში ჩვენ ჩართული გვყავდა ბულგარელი კოლეგა, სოფიის უნივერსიტეტის პროფესორი დიმიტარ ილიევი, რომელიც ბულგარეთში ანალოგიური პროექტში მონაწილეობდა. მან ჩავგიტარა სპეციალური ტრენინგი, თუ როგორ დაგვემზადებინა ფაილები და როგორ გავერთვა თავი იმ სირთულეებისთვის, რაც ამ ტექსტების კომპიუტერულ ფორმატში დამუშავებას ახლავს თან.

– რა მოცულობის მასალა განთავსდება საიტზე და რა პერიოდს მოიცავს ის წარწერები, რომელიც ელექტრონულ ბაზისთვის დაამუშავებთ?

– სულ არის 154 ტექსტი და ძირითადად მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის VII საუკუნემდე. ეს არის ძირითადად ქვაზე, თინაზე და სხვადასხვა ნივთზე: ბეჭდებზე, ვერცხლის ნაკეთობებზე ნახული წარწერები. მათი დიდი რაოდენობა არის აღმოჩენილი მცხეთაში: სამთავროს მონასტერში, ბაგინეთში, სვეტიცხოველში და ა.შ. საკმაოდ მრავალღეროვანი ნიმუშებია.

– რაგორ იქნება საიტი, რა ინფორმაციას განთავსდება მასზე?

– საიტზე იქნება თავად ბერძნული ტექსტი, მისი აღწერილობა, თარგმანი, ფოტო და სამეცნიერო კომენტარი, ასევე ინფორმაცია – რა გამოცემაში

შეიძლება მისი გაცნობა, ვინ გამოსცა და ა.შ. საიტს საკმაოდ მდიდარი საძიებო სისტემა ექნება, რაც დაინტერესებულ ადამიანს საშუალებას მისცემს, მოიძიოს იგი სხვადასხვა მაჩვენებლით – თარიღით, სიტყვით ან სხვადასხვა კომბინაციით.

– რა მნიშვნელობა აქვს ამგვარ პროექტებს და ვისთვის იქნება ის მნიშვნელოვანი?

– ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ის წიგნები, რაც იყო გამოცემული ადრე, ერთი მხრივ, არის ბიბლიოგრაფიული ინიციათა და სტუდენტს რომ მოუწოდებს მათი გაცნობა, უნდა მოვიდეს ჩემთან, მე გადმოვულო და ვაჩვენო, ან სადმე ბიბლიოთეკაში შეიძლება აღმოჩნდეს ერთ-ორი. გარდა ამისა, რაც უნდა კარგი საძიებო სისტემა ჰქონდეს წიგნს, ის მაინც ვერ ამოწურავს თქვენს ყველანიანი ინტერესს ტექსტის მიმართ, ხოლო როცა საძიებო სისტემა კომპიუტერულია, შეგიძლიათ ნებისმიერი კაპრიზი და ინტერესი დაიკმაყოფილოთ და ერთი კონკრეტული სიტყვით ან კომბინაციით მოძებნოთ თქვენთვის საინტერესო ტექსტი.

მეორე მხრივ, კვლევის პროცესში ასეთი საძიებო სისტემა ძალიან ამარტივებს შრომას. თავის დროზე, როცა დისერტაციაზე ვმუშაობდი, 5 წელი მოგვინდოდასსურველი ტექსტების ასლების მოგროვებას. დღეს ეს საქმე 5 წუთშია შესაძლებელი.

ეს უმნიშვნელოვანესი ბაზა იმ უცხოელი მეცნიერებისთვის, რომლებიც ამჯერად ტექსტებზე მუშაობენ. საშუაური და საჭირო საქმეა, რომ მათაც იცოდნენ – რა ბაზას ფლობს ჩვენი ქვეყანა. მათთან ჩვენ მჭიდრო თანამშრომლობა გვსურს და მოუთმენლად ულიან, რომ ეს მასალები ხელმისაწვდომი გახდეს. იმედი გვაქვს, რომ გადავრძელით ამ პროექტს. ცხადია, დაგვიანებისთვისაც ვიზრუნებთ. გვაქვს მზაობა იმისა, რომ თუ რამე ახალი აღმოჩნდება, შევმატოთ ბაზას, რათა ის გამდიდრდეს სამეცნიერო ლიტერატურით და იყოს ცოცხალი პროცესი...

– ბატონო ლევან, რატომ გადაწყვიტეთ ონლაინ-კატალოგის შექმნა და რა საშუალებები უძლოდა წინ პროექტის განხორციელებას?

– საქართველოს ბერძნული წარწერები რამდენჯერმე გამოიცა: ჯერ კიდევ 1950-იან წლებში თინა ჯაუხიანიშვილის

ახალი წიგნი თაროზე

მუსიკალური თარაზია და ხამალაური ზგერების მავნებლობა

მაია ბორაძე


რა გავლენას ახდენს მუსიკა ადამიანსა და ბუნებაზე, რა უარყოფითი შედეგი შეიძლება გამოიწვიოს ხმამაღალმა ზგერებმა ადამიანის ფსიქიკაზე – ამ და სხვა საკითხებზე მეცნიერულ კვლევებზე დაუბრუნებით მიღებულ დასკვნას ამოიკითხავთ ნუგზარ ალექსიძის ახალ წიგნში „ადამიანი, მუსიკა და ეკოლოგია“, რომლის რედაქტორები არიან: აკადემიკოსი ნოდარ მითაგვარია, პროფესორი ნუგზა მესხი და პროფესორი ნანა სხარულიძე.



ნუგზარ ალექსიძე

რომლის მიხედვითაც ადამიანის ჩანასახის ემბრიონიც კი სპეციფიკურად რეაგირებს მუსიკაზე. მაგალითად, კლასიკური მუსიკის ფონზე ემბრიონში რეგისტრირებული იქნა „ლიმილი“, როკმუსიკის ფონზე კი მოხდა ემბრიონის „შეკუმუხვნა“.

საინტერესო მონაცემებია მოყვანილი იმის დასადასტურებლად, რომ მუსიკას თავისი ფერი გააჩნია. ნუგზარ ალექსიძე ასაბუთებს, რომ ამას საფუძვლად უდევს ისეთი ფიზიკური მაჩვენებლები, როგორცაა ტალღის სიგრძე და ცალკეული „ბგერის ფერი“. დო - მწვანე (52 ნმ), დორე - ზემოლი (490 ნმ), რე - ლურჯი (464 ნმ), რე-მიზემოლი - იისფერი (438 ნმ), მი - იისფერი (413 ნმ), ფა - იისფერი (391 ნმ), ფა - სოლზემოლი - წითელი - მეწამული (739 ნმ), სოლ - წითელი (695 ნმ), სოლ - ლაზემოლი - წითელი (657 ნმ), ლა - ნარინჯისფერი (620 ნმ), ლა - სიზემოლი - ყვითელი (585 ნმ) და სი - მწვანე (552 ნმ). ავტორი ერთმანეთს ადარებს სხვადასხვა ჟანრის მუსიკას და ასკვნის, რომ ადამიანებზე საეკოლოგიო საგალობლებს დადებითი, დამამშვიდებელი გავლენა აქვთ, ასევე სამკურნალო მელოდიად არის მიჩნეული „ბატონები“, რომელსაც ავადმყოფ ბავშვებს უმღერიან. წიგნში განალიზებულია აგრეთვე კლასიკური მუსიკის ბგერების სილიონის მეშვეობით ადამიანის ემოციების მართვის შესაძლებლობა. მაგალითად, „პ. ჩაიკოვსკის ცნობილი შიშის კვინტეტი ოპერიდან „პიკის ქალი“ დაწერილია ფა-დიუზ მინორში, ფა-დიუზ მინორშია დაწერილი აგრეთვე გ. ვენიავსკის პირველი კონცერტი, ი. ჰაიდნის 45-ე სიმფონია, რომლებშიც შესანიშნავადაა გამოყენებული ალელუგებისა და შიშის გამოხატვები ბგერები და მათი შეთანხმებულიობა.



მატებით გამოიყენება. აქვე ავტორი უარადლებას ამხეილებს იმაზე, რომ ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება აუტიზმით დაავადებული ბავშვების მიმართ. იგი წერს: „დადგენილია, რომ მუსიკის გავლენით აუტიზმით დაავადებულ პაციენტებში ძლიერდება დადებითი ემოციები, რაც იწვევს მათ გააქტიურებას (Kem, 2014) და მესხიერების გაუმჯობესებას, პარალელურად აღნიშნულ მუსიკალური უნარისა და შეგრძნებების გაძლიერება (Heaton, 2005), ნაწილი კი გამოირჩევა მაღალი მუსიკალური პროფესიული უნართანაც (Treffat, 2012)“. აქვე დასაბუთებულია, თუ როგორი ეფექტი აქვს მუსიკას ისეთი უმძიმესი დაავადების სამკურნალოდ, როგორცაა ალცჰეიმერი. ბუნებრივად ისმის კითხვა, თუ რატომ უმჯობესდება თავის ტვინის აქტიურობა მუსიკალური თერაპიის შედეგად? „უნდა აღვნიშნოთ, რომ მუსიკალური ნაწარმოების ბგერებისა და ფრაზების გავლენით, ინტენსიურად აქტიურდება თავის ტვინის ნერვული უჯრედები და ნეორონული ანსამბლები, სადაც მესხიერების ენერჯის დონეზე ელექტროფიზიოლოგიურადაა ჩაწერილი ადამიანის ქვეყისა და განწყობის მთელ საზოგადოებო ინფორმაცია. ცნობილია, რომ თავის ტვინის ჰიპოკინეზიური მდგომარეობაში ხანგრძლივი დროით დეტრეგება იწვევს ნეორონული ანსამბლების დაშლას და ნეორონების სიკვდილს. სწორედ მუსიკალური რიტმების გავლენითა და მხატვრული ლიტერატურის კითხვით ხდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში ნეორონების აქტიური მდგომარეობაში შენარჩუნება და ახალი ფსიქომოციური ადეკვატური ქვეყითი რეაქციების ფორმირება“, – ასკვნის ავტორი და წიგნის ბოლოს უთითებს კლასიკური მუსიკის სხვადასხვა ნიმუშს, რომელშიც ამა თუ იმ ფსიქოლოგიური ან ფსიქიკური პრობლემის მოსახსნელად არის რეკომენდებული.

„დადგენილია, რომ მუსიკის გავლენით აუტიზმით დაავადებულ პაციენტებში ძლიერდება დადებითი ემოციები, რაც იწვევს მათ გააქტიურებას (Kem, 2014) და მესხიერების გაუმჯობესებას, პარალელურად აღნიშნულ მუსიკალური უნარისა და შეგრძნებების გაძლიერება (Heaton, 2005), ნაწილი კი გამოირჩევა მაღალი მუსიკალური პროფესიული უნართანაც (Treffat, 2012)“

შესავალ ნაწილში ავტორი, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი ნუგზარ ალექსიძე გვთავაზობს დასაბუთებულ მოსაზრებას მუსიკალურ ბგერათა ბიოლოგიურობის შესახებ: „1. მუსიკა ადამიანის ემოციური მდგომარეობის ბგერებით გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა; 2. ბგერა მექანიკური რხევაა, რომელიც უფრო მეტად რეზონანსურადაა 20-დან 20000-მდე ჰერცის სიხშირის ფარგლებში. რაც უფრო დიდია სიხშირე, მით უფრო მაღალია ბგერა. ბგერაში შედის სიხშირის ტონები, რაზეც დამოკიდებულია ტემბრი. ყველა ბგერას აქვს თავისი სპეციფიკური ძალა; 3. ბგერით ხდება ახალშობილის ემოციური აქტიურობის გამოხატვა, მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ კიდევ არ შეტყუვდება; 4. ბგერით ხდება ცხოველთა აქტიურობის ემოციური გამოვლინება ცხვირბინისას, როცა შეწვევების მიხ-

ნით სპეციფიკურ ბგერებს გამოსცემენ, უხმობენ პარტნიორს. ასევე მკაცრად არის განსაზღვრული მელოდიურობა მგლებს უმთხრეს და მაიმუნების მიერ გამოცემულ ბგერებს მიღწევისას“, – აღნიშნულია მასში. წიგნში განსაკუთრებულადაა უარადლება გამოხატული იმ ტენდენციებზე, რომელიც თანამედროვე ახალგაზრდობაში შეიმჩნევა და რომელსაც არც თუ დადებითი გავლენა აქვს განმრთელობაზე; კერძოდ, დიდი დოზით უცხოური მუსიკის მოსმენას ე.წ. ფლეიერებით. ავტორი წერს: „დღეს უკვე მრავალი მეცნიერი აღიარებს, რომ ყველა ერთი მუსიკალური გამოსახვის შესაძლებლობა გენეტიკურ აპარატშია ჩაწერილი და დასტურად მოჰყავთ ის უარყოფითი შედეგები, რაც უარსაცვამებთანაა ფლეიერებში გამოიწვია თინიქურების. თინიქურები ფლეიერებით უპირატესად გაზურ და როკმუსიკას ისმენდენ. შედეგად, მხოლოდ ახალგაზრდა თინიქურიანებმა მასიურად მიმართეს ნეგროპათოლოგებს თავის ტკივილების, გონების დაკარგვის და გულისრების გახშირების გამო. ვფიქრობთ, რომ ამის მიზეზია არაუთნიკური მუსიკის რხევების უთავისებლობა ეთნოგენეტიკური დნმ-ის რხევებთან. ცნობილია, რომ გენეტიკური ინფორმაციის მატარებელი დეზოქსირიბონუკლეინის მუჟავას (დნმ) ახასიათებს სპეციფიკური „ხმები“ (რხევების შედეგად), რომელიც ხუსტად შეესაბამება სინათლის სპექტრის ფერებს, წარმოიქმნება აკუსტიკური ტალღები, ფაქტურად დნმ „მღერის“. წიგნში ხახვანთაა გამოკვეთილი მუსიკალური ბგერებისა და ბიოლოგიური რხევების ურთიერთკავშირი. მოყვანილია უცხოელი მეცნიერების დასკვნა იმის შესახებ, რომ „მღერიან“ როგორც მცენარეული, ისე ცხოველური უჯრედები. ავტორს მაგალითად მოჰყავს კვლევა,

სემინარი ფლორენციაში

ფლორენციაში რომულდო დელ ბიანკოს ფონდის ორგანიზებით გაიმართა სტუდენტთა საერთაშორისო სემინარი თემაზე: „რელიგიათაშორის დიალოგი და მისი როლი რელიგიური ტურიზმის განვითარებაში“. ღონისძიების ერთ-ერთი ხელმძღვანელის რომულდო დელ ბიანკოს ფონდის ექსპერტის, თსუ-ს პროფესორის ია ხუბაშვილის ინფორმაციით, საერთაშორისო სტუდენტური სემინარის ფორმატი მრავალმხრივი და საინტერესო იყო. „სტუდენტთა კონფერენციის გარდა ღონისძიების ფარგლებში გაიმართა სტუდენტთა კონფერენცია და ტრენინგები სახელწოდებით: „ცხოვრება ტურიზმის მიღმა“, შედეგად შეხვედრები სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. სტუდენტებმა მოინახულეს ფლორენციის მუზეუმები, ცნობილი ფლორენციელი ოქრომჭედლების სახელოსნოები, სესტო ფიორენტიონოში ბუდისტების სოკა-გაკაის საერთაშორისო ინსტიტუტი, სანგალის რელიგიისა და კულტურის ისტორიის ინსტიტუტი და ფლორენციის სინაგოგა, სადაც სტუდენტები ებრაელთა თემის რაბინს შეხვდნენ. სემინარის ფარგლებში ფლორენციის უნივერსიტეტის ისტორიის, გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ფრანჩესკო



სალვესტრინმა წაიკითხა ლექცია თემაზე: „მონასტრები, წმინდა ადგილები, ტაძრები და პილიგრიმობა ქრისტიანული იტალიის რელიგიური და კულტურულ მემკვიდრეობაში“; მილანის უნივერსიტეტის პროფესორის, ვერა პოცინის ლექციის თემა იყო: „ჩვენი დროის ქრისტიანი პოეტი ოლგა სუდაკოვა“. ღონისძიების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, პროფესორმა გიული ალანამ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „საქართველოში ეთნიკური და კონფესიური უმცირესობების მდგომარეობის შესახებ“, – განაცხადა ია ხუბაშვილმა. იტალიაში გამართულ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

სტუდენტების გარდა მონაწილეობდნენ თამარ მეფის უნივერსიტეტის დოქტორანტები და საერთაშორისო ახალგაზრდული ორგანიზაცია „რონდინეს“ (იტალია, არეცი) წარმომადგენლები, ბელგიელი, რუსი, ჩეჩენი, აფხაზი, სომეხი, ლიბანელი და კოსოვოელი სტუდენტები. სემინარის მუშაობას ესწრებოდნენ თამარ მეფის უნივერსიტეტის რექტორი, არქიმანდრიტი ადამ (ვახტანგ) ახალაძე, საპატრიარქოდან ქალბატონი ნატო ასათიანი და ვატიკანის წარმომადგენელი საქართველოში გაზრიელ ბრანტინი, რომლის ინიციატივით სტუდენტებს სანტა მარია დელ ფიორუში და ბაპტისტერიუმში დაათვალიერებინეს XIV-XVII საუკუნეების ოქროს ქსოვილები და ხატები.

კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებებით წარსდგნენ თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები, რომლებმაც წარმოადგინეს საფინანსო პროექტი – „რა მისცა მათ ერთ კვირის ფლორენციაში“. პროფესორ ია ხუბაშვილის ინფორმაციით, მასში წარმოდგენილი იყო იმ ცხარე დისკუსიის შედეგები, რომელიც თან ახლდა მათ ერთობლივ მუშაობას და ასევე ფლორენციის ქუჩებში აღებული ინტერვიუები სხვადასხვა რელიგიის ახალგაზრდებთან. დასასრულს მოეწყო სხვადასხვა ქვეყნების სტუდენტების ერთობლივი პასტა-ფართი, სახიუმო ტორტის გაჭრა და რაც მთავარია, მონაწილეებს გადაეცა სერტიფიკატები. „ჩვენი სტუდენტების გამოსვლა იტალიაში ერთ-ერთი საუკეთესო და აკადემიური იყო, რაც აღნიშნა კიდევ ფონდის გენერალურმა დირექტორმა სიმონე ჯომეტომ. ქართველი სტუდენტებმა საფუძვლიანი ცოდნა გამოამუშავეს შეხვედრებისა და ლექციების დროსაც, რითაც კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი ჩვენი უნივერსიტეტის ღირსებას. როგორც სემინარის სამეცნიერო ხელმძღვანელმა, მინდა მაღლობა გადავუხადო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ნუნუ ოგსანიკოვასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს ნანა გაფრინდაშვილს ამ რთულ და საპასუხისმგებლო მივლინებაში თანადგომისათვის“, – აღნიშნა ია ხუბაშვილმა.



# ევროპული კვლევების საბჭოს პროგრამებში თანაბარფლავიანი მონაწილეობის შესაძლებლობა

მაია ტორაძე,  
თამარ ლაღინა

1-ლი გვერდიდან

## 20-21

აპრილს გაიმართა ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) 10 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომლის ორგანიზატორები იყვნენ ევროპული კვლევების საბჭოს აღმასრულებელი სააგენტო და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. კონფერენციას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა.

კონფერენციას დაესწრნენ ევროპული კვლევების საბჭოს ოფიციალური პირები: ევროპული კვლევების საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ევროპული თანამშრომლობის გაფართოების საკითხებში, პროფესორი ევა კონდოროსი, ევროპის აკადემიის პრეზიდენტი სიერდ ქლეთინგი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თემურ მურგულია, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მანანა მიქაბერიძე, თსუ-ს რექტორი გიორგი შარვაშიძე, ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლობა საქართველოში, საქართველოს უნივერსიტეტების რექტორები და მოწვეული ექსპერტები ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან: ევროკავშირის ექსპერტი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით პროფესორი მარია მაკაროვი და ქართველი მეცნიერები მსოფლიოს წამყვანი კვლევითი ცენტრებიდან: პროფესორები ბილა ღვინაძე და ზაალ კოპალია.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასპინძლობს დიდი მასშტაბის კონფერენციას. ევროპის კვლევის საბჭო გახლავთ ყველაზე დიდი ორგანო, რომელიც აფინანსებს სამეცნიერო გრანტებს. მათ შორის იმ გრანტებს, რომელიც გადანაწილდება „ჰორიზონტი 2020“-ის ფარგლებში. ღონისძიებაზე საუბარი შეეხება საკითხებს – როგორ უნდა ჩაერთონ ქართველი მეცნიერები საგრანტო პროექტებში, დაწყებული სააპლიკაციო ფორმებით, დასრულებული თემატიკით, რომელიც უნდა შეირჩეს. ეს არის უზარმაზარი დახმარება ქართველი მეცნიერებისთვის. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ის კონტაქტები, რომელიც ERC-ის ფარგლებში ჩამოყალიბდა, შესაძლებლობას მოგვცემს ჩავერთოთ ევროპული დონის კვლევებში. ძალიან კარგია, რომ თსუ-ს ბევრი გუნდი მოღვაწეობს ამ მიმართულებით და წელს რამდენიმე გრანტიც მივიღეთ. იმედი გვაქვს, გრანტების რაოდენობა მომავალშიც გაიზარდება“, – განაცხადა კონფერენციის გახსნაზე თსუ-ს რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

ევროპული კვლევების საბჭოს პრეზიდენტმა ჟან-პიერ ბუაჟენონმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველო პროგრამას მრავალფეროვან ცოდნასა და იდეებს შესძენს, შედეგად კი საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობის პროცესს გაამდიდრებს: „ყოველთვის მზად ვართ, ჩვენს პარტნიორებთან ერთად ინვესტიცია ჩავდეთ საუკეთესო გამოგონებებსა და ინოვაციებში, შედეგად კი, ხელი შევუწყოთ მეცნიერებს, ამასთან, ვუზუსტოთ საზოგადოებრივ და ინდუსტრიულ გამოწვევებს. ჩვენი მიზანია უზრუნველყოთ მსოფლიო კლასის მეცნიერების განვითარება, ქართველ მეცნიერებს, მკვლევრებსა და ინოვატორებს ახალი შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ „ჰორიზონტი 2020“-ის კონკურსებში. წარმატების მიღწევის შემთხვევაში კი მოიზიდონ 100 ათასობით ევრო, განხორციელდონ სხვადასხვა კვლევა საქართველოში და, შედეგად, გააძლიერონ კვლევითი



პროფესორმა ზაალ ჯორჯიანიმ ERC-ს მეცნიერების დაფინანსების ყველაზე ძლიერი და სერიოზული მექანიზმი უწოდა და განაცხადა, რომ საქართველოსთვის ეს საბჭოსთან მიერთება ნიშნავს სერიოზულ ნიშნულს ევროპულ სამეცნიერო და კვლევით სივრცეში ინტეგრაციისთვის.

კონფერენციის მიზანია რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მანანა მიქაბერიძემ განაცხადა, ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) კონფერენციას მართავს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (წევრები: საქართველო, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა), რაც მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან საქართველო თანაბარფლავიანი წევრის სტატუსით უერთდება ევროპული კვლევების საბჭოს სივრცეს. „ევროპული კვლევების საბჭოს დაფინანსება 2014-დან 2020 წლამდე 13 მილიარდი ევროა (პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ის 17%, ანუ 77 მილიარდი ევროდან 13.1 მილი-

არდი ევრო). მათი საკონკურსო შერჩევის კრიტერიუმი არის ერთადერთი – წარდგენილი უნდა იყოს განსაკუთრებულად გამორჩეული პროექტები, რომლებიც თავის წვლილს შეიტანენ ამა თუ იმ სამეცნიერო დარგის განვითარებაში. ის, რომ ეს პროგრამა შემოდის საქართველოში და ქართველ მეცნიერებს ეძლევა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ ERC-ის კონკურსებში, ნიშნავს იმას, რომ ჩვენი მეცნიერები ინტეგრირებული იქნებიან ევროპის სამეცნიერო სივრცეში. ეს, რა თქმა უნდა, ნიშნავს სამეცნიერო დარგების განვითარებას ჩვენს ქვეყანაში“, – აღნიშნა მანანა მიქაბერიძემ.

ევროპული კვლევების საბჭო როგორც ფუნდამენტური, ასევე გამოყენებითი მეცნიერებებში ითხოვს საუკეთესო ხარისხის ინოვაციურ, მასშტაბურ პროექტებს. დაფინანსება გაცივმა ინდივიდუალურად მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის წარმომადგენელ მეცნიერზე. ამასთან, საკონკურსო თემატიკა არ არის შეზღუდული, რაც ამ კონკურსს გამოარჩევს სხვა სამეცნიერო კონკურსებისაგან. აღსანიშნავია ისიც, რომ გრანტის მიმღებ პირს შეუძლია შექმნას საერთაშორისო კვლევითი გუნდი და გრანტის განხორციელების პროცესში ჩართოს სხვადასხვა ქვეყანა ან სამეცნიერო სფეროს წარმომადგენელი იმ პირობით, რომ ამ ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ კვლევის განხორციელებისთვის საჭირო განვითარებული სამეცნიერო ინფრასტრუქტურა. კონფერენციის მონაწილენი ერთხმად აღნიშნავენ, რომ თუ ეს გრანტები განხორციელდება საქართველოში, ეს იქნება საკმაოდ მნიშვნელოვანი სტიმული ცენტრებისა და უნივერსიტეტების განვითარებისთვის.

კონფერენციის მონაწილეებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ევროპული კვლევების საბჭოს შესაძლებლობები, ევროპელი გამოჩენილი მეცნიერების წარმატებები, გაუზიარეს გამოცდილება, თუ როგორ შეიძლება ქართველმა მეცნიერებმა მონაწილეობა მიიღონ და დაფინანსება მოიპოვონ ევროპული კვლევების საბჭოს პროგრამებში.

ევროპული კვლევების საბჭოს შემფასებელი პანელის წევრმა, ლუნდის უნივერსიტეტის ლეოვანი უკრედის კვლევითი ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა ზაალ კოკაიამ ERC-ს მეცნიერების დაფინანსების ყველაზე ძლიერი და სერიოზული მექანიზმი უწოდა და განაცხადა, რომ საქართველოსთვის ამ საბჭოსთან მიერთება ნიშნავს სერიოზულ წინსვლას ევროპულ სამეცნიერო და კვლევით სივრცეში ინტეგრაციისთვის. „ძალიან

აღბათ ერთაულაბი იქნება საქართველოში ისეთი, ვინც შეძლებს, კონკურენტუნარიანი იყოს ამ კონკურსზე (ქართველთაგან მხოლოდ გია დვალი ფლობს ERC-ს გრანტს), თუმცა ამ შემთხვევაში პრინციპულია ის, რომ ქართველი მეცნიერები ნახავენ, როგორ ხდება დაფინანსების მოპოვება, რა სტანდარტებია ევროპაში და კვლევის რა ხარისხი მოითხოვება. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ ნებისმიერ უცხოელ მეცნიერს შეუძლია საქართველო გამოიყენოს გრანტის განხორციელებისთვის. არსებობს მთელი რიგი მიმართულებები, რომელშიც საქართველო მიმზიდველია კვლევებისთვის, ეს შეიძლება იყოს ხელნაწერები, პალეონტოლოგია, გეოფიზიკა, ტექტონური კვლევები და ა.შ.“ – განაცხადა მან.

რთულია ამ გრანტის მიღება. ალბათ ერთულები იქნება საქართველოში ისეთი, ვინც შეძლებს, კონკურენტუნარიანი იყოს ამ კონკურსზე (ქართველთაგან მხოლოდ გია დვალი ფლობს ERC-ს გრანტს), თუმცა ამ შემთხვევაში პრინციპულია ის, რომ ქართველი მეცნიერები ნახავენ, როგორ ხდება დაფინანსების მოპოვება, რა სტანდარტებია ევროპაში და კვლევის რა ხარისხი მოითხოვება. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ ნებისმიერ უცხოელ მეცნიერს შეუძლია საქართველო გამოიყენოს გრანტის განხორციელებისთვის. არსებობს მთელი რიგი მიმართულებები, რომელშიც საქართველო მიმზიდველია კვლევებისთვის, ეს შეიძლება იყოს ხელნაწერები, პალეონტოლოგია, გეოფიზიკა, ტექტონური კვლევები და ა.შ.“ – განაცხადა მან.

21 აპრილს, რეგიონული კვირეულის ფარგლებში, გაიმართა საინფორმაციო დღე, სადაც დაინტერესებულ პირებს პროექტის წერის, განაცხადის შევსების და დაფინანსების მისაღებად სხვა საჭირო დეტალების შესახებ ინფორმაცია მიეწოდათ. „ჩვენი მიზანია საქართველოში მცხოვრებ მეცნიერებს გავაცნოთ ევროპული კვლევების საბჭოს შესაძლებლობები, თუ როგორ მიაღწიეს გამოჩენილმა მეცნიერებმა წარმატებას. ჩვენ აქ წარმოვადგენთ წარმატებულ მაგალითებს და გაუზიარებთ გამოცდილებას, თუ როგორ შეიძლება ქართველმა მეცნიერებმა მიიღონ მონაწილეობა ევროპული კვლევების საბჭოს პროგრამებში და მოიპოვონ დაფინანსება. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მეტ ახალგაზრდას ვაჩვენოთ გზა, თუ როგორ შეიძლება ევროპული საბჭოს კვლევებში მონაწილეობა. დღევანდელ ღონისძიებაზე სტუმრებს ასევე აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ თავისუფალ დიალოგში. დაინსება საინტერესო კითხვები და გაცივმა პასუხები. ჩვენ ვუზიარებთ სტუმრებს ინფორმაციას ERC-ის შესახებ, ვსაუბრობთ გრანტებსა და აპლიკაციებზე, გავცემთ რეკომენდაციებს. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს ამ ქვეყნების სამეცნიერო პოტენციალის ამაღლებას“, – აღნიშნა ევროპული კვლევების საბჭოს ვიცე-პრეზიდენტმა ევა კონდოროსმა.

ERC-ის კვირეული მიზნად ისახავს: საქართველოს და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნების მონაწილეობის გაზრდას ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) მიერ ადმინისტრირებულ კონკურსებში; დაფინანსების შესაძლებლობებისა და გამოწვევების ერთობლივი ანალიზისთვის ERC-ის ოფიციალურ პირებს, ევროპული კვლევების საბჭოს გრანტიორებს, აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების გამოჩენილ მეცნიერებსა და რეგიონის მაღალი დონის ოფიციალურ პირებს შორის დიალოგის ხელშეწყობას, გამოცდილების გაზიარებას; ინტერაქციას ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) წარმომადგენლებთან.





# შემაჯავებელი ღონისძიება-აქცია – „არა ბარბარიზმებს!“

შარტენია ბაროშვილი

როცა რომა თავისი ლეგიონერების ნაცვლად ბარბაროსი მეომრები დაიჭირავა, მაშინ დაეცა, ჰოდა, თუ ჩვენც ქართული ენის ნაცვლად ბარბარიზმების ენით ვისაუბრებთ, იგივე დაგვემართება. ამდენი საუკუნე ჩვენი წინაპრები განა იმისთვის იბრძოდნენ და სისხლს ღვრიდნენ, რომ ჩვენ „ავილირებული ქოუჩები“ და „მეინსტრუმენტები“ ვიყოთ? არა ბარბარიზმებს! კულტურული რომიდან ვუცხადებ ომს ბარბარიზმებს! დიდგვაროვანი ქართული ენა, რომელმაც ამდენ დამპყრობელს გაუძლო და დღემდე მოვიდა! ნუ ისაუბრებ ჩიქორთული ქართულით! ჩვენ ბევრნი ვართ და შევძლებთ იმას, რომ ჩვენმა შვილებმა მომავალში გამართული ქართულით იმეტყველონ! ერთად შევუტიოთ ბარბარიზმებს!“, – რომიდან ამგვარ გზავნილს გვავფიცს თსუ-ს დოქტორი თამარ გელაშვილი და ასე ეხმაურება 19 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ მოძრაობის „არა ბარბარიზმებს!“ შემაჯავებელ ღონისძიება-აქციას.



მნიშვნელოვანია, რომ თსუს ლექსიკოგრაფიული ცენტრის ორგანიზებით დაწყებულ მოძრაობაში აქტიურად ჩაერთნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, ამასთან, მოძრაობის წევრები გახდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი, სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები. მოძრაობის ფარგლებში შეგროვდა და დამუშავდა ინგლისურენოვანი ბარბარიზმები და მათი ქართული შესატყვისები, რის საფუძველზეც გამოიცა „ბარბარიზმების ლექსიკონი“, რომელიც ლექსიკოგრაფიული ცენტრის ხელმძღვანელმა თინათინ მარგალიტაძემ წარადგინა და მოძრაობის ოთხთვიანი შედეგები შეაჯამა.

„თანამედროვე ქართული ენაში მიმდინარე პროცესებზე ზედპირული დაკვირვებაც კი ნათელყოფს, რომ ენაში მნიშვნელოვანი ძვრები ხდება ენის თითქმის ყველა დონეზე, რაც, უპირატესად, ინგლისურ ენას და მის ყოვლისმომცველ გავლენას უკავშირდება. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართული ენის ისტორიაში დაიწყო ახალი ეტაპი, რაც ინგლისურ ენასთან მჭიდრო კავშირმა მოიტანა. ეს კონტაქტი მართლაც ყოვლისმომცველია: ინტერნეტი;

თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; საერთაშორისო ურთიერთობები; პირდაპირი დიპლომატიური კავშირები უცხოეთთან, რაც დამოუკიდებლობის წლებს უკავშირდება; საბაზრო ეკონომიკა; ახალი სამეწარმეო და სამართლებრივი ურთიერთობები; რევოლუციური წინსვლები მეცნიერებასა და თითქმის ყველა დარგში და სხვა. ყველა ეს სიახლე ახალ ტერმინოლოგიასთან, ახალი ცნებების შემოღებასთან არის დაკავშირებული, რაც ბუნებრივად შემოიჭრა ქართულ ენაში სწორედ ინგლისური ენის მეშვეობით. ენაში მიმდინარე პროცესების ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ პროცესების მიზეზი, ხშირ შემთხვევაში, ცოდნის ნაკლებობაა – ზოგჯერ ქართული ენის ცუდად ცოდნა, ზოგჯერ უცხო ენების სწავლების არასწორი მეთოდები, ლექსიკონების ნაკლებობა და არსებული ლექსიკონების გამოყენების უნარ-ჩვევების არქონა. ქართულ ენას არ სჭირდება განივლითარება, მას სჭირდება განვითარება. თუ ამას არ გავაკეთებთ, ესე იგი, ჩვენ საბოლოოდ უარს ვამბობთ ჰუმანიტარულ ინტეგრაციაზე ევროპულ სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში და ეროვნული ენისა და კულტურის განვითარებაზე ევროპული მოთხოვნების შესაბამისად.

დღეს ვაჯამებთ ჩვენი მოძრაობის – „არა ბარბარიზმებს!“ ოთხთვიანი მუშაობის შედეგებს. თუნდაც ის ფაქტი, რომ აქციაში უფროს თაობასთან ერთად აქტიურად ჩაერთნენ სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები, იმაზე მიუთითებს, რომ ამ იდეის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი – ენის წინაშე მდგარი გამოწვევებისა და საფრთხეების გაცნობიერება და ამის საზოგადოებაში ფართოდ გატანა დაიწყო“, – განაცხადა პროფესორმა თინათინ მარგალიტაძემ.

ლონისძიებაზე თსუს რექტორმა გიორგი შარვაშიძემ თავისი მხარდაჭერა გამოხატა აქციის მონაწილეების მიმართ და სხვა უმაღლესი სასწავლებლების რექტორებსაც მოუწოდა აქციაში ჩართვისკენ. „თანამედროვე ქართულ ენაში ძალიან ბევრი უცხო სიტყვა შემოიჭრა, რომლის შესატყვისი მშობლიურ ენაშიც გვაქვს. მაგალითად, არასწორია ურგენტული დახმარება, სწორია – გადაუდებელი დახმარება... და სხვა. ჩვენ უნდა ვებრძოდეთ ბარბარიზმებს და დავიცვათ ენის სიწმინდე“, – განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

მოძრაობის „არა ბარბარიზმებს!“ ფარგლებში გამორჩეული ლიტერატურული ქართული ენით მეტყველებისათვის უნივერსიტეტის მიერ დაწესებული ჯილდო პირველად გადაეცათ საორტულ ჟურნალისტ ნიაზ მამრიკიშვილს, საზოგადო მოღვაწეს, კინორეჟისორ ლანა ლოლობერიძეს, უცხოელ ქართველოლოგს, ლონდონის უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორს დონალდ რეიფილდს და იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში, მის აღმატებულ ტოშიო კაიტანის. გამარჯვებულები უნივერსიტეტის პროფესორებისგან და საზოგადო მოღვაწეებისგან შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ გამოავლინა.

„ქართული ენა ძალიან ლამაზი ენაა. ჩემთვის დიდი პატივია ამ ჯილდოს მიღება. წარმატება მინდა ვუსურვო წამოწყებულ აქციას. იმედი მაქვს, რომ უფრო მეტი უცხოელი ისწავლის ამ მარგალიტით ენას“, – აღნიშნა



ნა იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩმა საქართველოში ტოშიო კაიტანმა, რომელმაც თავისი გამოსვლა ქართული სიმღერით დაასრულა.

კინორეჟისორმა ლანა ლოლობერიძემ მადლობა გადაუხადა სასიამოვნო სიურპრიზისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და აქციის ორგანიზატორებს: მერცკი წარმომედგინა, რომ ვინმე უსმენს ჩემს საუბარს და თან არჩევს, თუ როგორ ვსაუბრობ. ჩემთვის ძალიან სასიამოვნო და მნიშვნელოვანია „აღმა მატერში“ მიღებული ჯილდო“, – განაცხადა ლანა ლოლობერიძემ.

უნივერსიტეტის მიერ დაწესებული ჯილდო მოულოდნელი აღმოჩნდა სპორტული ჟურნალისტის ნიაზ მამრიკიშვილისთვისაც: „გაკვირვებელი დიახარებულნი ვარ, ამ აუდიტორიის წინაშე წარდგენაც კი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. აქციაში დიდი ენთუზიაზმით ჩავერთე და კარგად ვაცნობიერებ, თუ რა მოვალეობები უნდა დავუსახო საკუთარ თავს ამის შემდეგ. მინდა მოვუწოდო ჩემს კოლეგებს, სპორტულ კომენტატორებს, აქტიურად ჩაერთონ ამ მოძრაობაში და სწორად იმეტყველონ“, – აღნიშნა ნიაზ მამრიკიშვილმა.

თსუს ლექსიკოგრაფიული ცენტრის ხელმძღვანელმა თინათინ მარგალიტაძემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა მოძრაობის ფარგლებში შექმნილი „ბარბარიზმების ლექსიკონი“ და იმ ძირითადი მიმართულებების შესახებ ისაუბრა, რითაც მომავალში მოძრაობა „არა ბარბარიზმებს!“ გაგრძელდება. თინათინ მარგალიტაძის ინფორმაციით, ლექსიკონში შევიდა როგორც ლექსიკოგრაფიული ცენტრის მიერ მოძიებული ბარბარიზმები და კალკები, ისე მოძრაობის მხარდამჭერთა მიერ გამოგზავნილი მასალა. საყურადღებოა, რომ ლექსიკონში აისახა საერთო ლექსიკონში ფეხმოკიდებული ინგლისურენოვანი ბარბარიზმები. დაგეგმილია მუშაობა ტერმინოლოგიურ ბარბარიზმებზე დარგის სპეციალისტების თანამონაწილეობით. „ბარბარიზმების ლექსიკონი“ აიტვირთება ინტერნეტში მოძრაობის გვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის. ამასთან, მზადდება რუსულენოვანი და ინგლისურენოვანი ბარბარიზმების ონლაინ-ვერსია ერთიანი საძიებო სისტემით, რომელიც მალე განთავსდება ინტერნეტში მისამართზე: <http://barbarizmebi.ge>.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოძრაობას „არა ბარბარიზმებს!“ უახლოეს მომავალში შეუერთდებიან შავი ზღვის უნივერსიტეტი და საპატრიარქოს უნივერსიტეტი, სადაც ქართულ ენაში მიმდინარე პროცესებზე საჯარო ლექციები დაგეგმილი. საჯარო ლექციები, ასევე, გაიმართება ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლებში.

თსუ-ში დაწყებული ღონისძიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო მოძრაობის ფარგლებში დაწყებული მასშტაბის აქცია, რომელიც ოთხი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და რომელშიც ბევრმა მოქალაქემ: პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა, სკოლების მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა მიიღეს მონაწილეობა. მისურების აქციის გამარჯვებული მონაწილეები 10 სხვადასხვა ნომინაციაში დაჯილდოვდნენ. ღონისძიება-აქცია „ბარბარიზმების გადაყრის“ ცერემონიით დამთავრდა. ფერად ბუშტებზე დაწერილი ბარბარიზმები უნივერსიტეტის ბაღიდან ჭაერში ააფრინეს, რომლებიც მალევე გაუჩინარდნენ...

# ფესტივალი „CineDOC-Tbilisi“ შრომის უფლებების თემაზე

ნატო ობოლაძე

კინოფესტივალი „CineDOC-Tbilisi“ წელს შრომის უფლებების თემაზე ტარდება. თსუ-ში მშრომელთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით „შრომითი უფლებების“ თემაზე პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც კინოფესტი-

ვალის „CineDOC-Tbilisi“ დაწყება დაანონსდა. ფესტივალის ფარგლებში 8 დოკუმენტური ფილმი იქნება წარმოდგენილი. ჩვენებები კინოთეატრებში: რუსთაველი, ამირანი და კინოს სახლში მოეწყობა. ასევე იგეგმება ღია ჩვენებების მოწყობაც მზიურსა და „Backstage 76“-ში. კინოფესტივალს „Nosfera Foundation“ ყოველწლიურად

ატარებს. წელს ჩვენებები ფრიდრიხ ებერტის ფონდთან ერთად პროექტის „შრომის უფლებების კამპანია“ ფარგლებში ტარდება.

„ფილმების ჩვენებების შემდეგ მოეწყობა დისკუსიები. ვგეგმავთ რეგიონებში გასვლასაც. არჩული გვაქვს ახალი გადაღებული 8 დოკუმენტური ფილმი“, – განაცხადა ფესტივა-

ლის დირექტორმა არჩილ ხეთაგურმა.

„ფილმები ასახავს შრომას და შრომითი პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტებს, ადამიანებს, რომლებიც შრომის მონაწილეები არიან. ეს არის შემოქმედებითი დოკუმენტური ფილმები ადამიანების ისტორიების შესახებ“, – აღნიშნა ფესტივალის კოორდინატორმა ანა ციმინტიამ.

დოკუმენტური ფილმების კინოფესტივალი „CineDOC-Tbilisi“ წელს უკვე მეხუთედ ტარდება. კინოჩვენებები 11 მაისიდან 16 მაისის ჩათვლით გაგრძელდება. ფესტივალის დასრულების შემდეგ დაიწყება რეგიონალური ტურები, რომლის ფარგლებშიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში კინოჩვენებები და დისკუსიები გაიმართება.



# ახალი სახელმძღვანელოები ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე

თამარ ლალიანი

დევიდ ნ. უელი - „ეკონომიკური ზრდა“; აგნეს ბენასი-კუერი, ბენუა კიური, პიერ ჟაკი, ჟან პისანი-ფერი - „ეკონომიკური პოლიტიკა (თეორია და პრაქტიკა)“ - ეს სახელმძღვანელოები თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორის ინიციატივით ითარგმნა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ამ მხრივ ლიდერია და მის ანგარიშზე უკვე 1000-მდე სახელმძღვანელოა.

მსოფლიოში ცნობილი უცხოენოვანი სახელმძღვანელოების პრეზენტაცია 26 აპრილს თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ: უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი მიხეილ ჩხენკელი, თსუ-ს კანცელარი ნუნუ ოსიანიკოვა, აკადემიკოსი გლადიმერ პაპავა, კონკურენტის სააგენტოსა და თსუ-ს მაკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი ნოდარ ხადურია, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

ჩვენს სტუდენტებს ეძლევათ უნიკალური საშუალება განათლება მსოფლიოში აპრობირებული სახელმძღვანელოებით მიიღონ. მოგესხებათ, რომ ყველას არ აქვს საშუალება უცხოეთის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში სწავლის, ამ შემთხვევაში კი, ეს წიგნები ფასდაუდებელია. სასწავლო პროგრამაში ეს სახელმძღვანელოები უკვე შეტანილია და ჩვენი სტუდენტები მშობლიურ ენაზე მიიღებენ უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების, წამყვანი მეცნიერების მიერ გამოცემულ სამეცნიერო-სასწავლო პროდუქციას. ჩვენი მიზანია, აქტიურად განვაავითაროთ ამ წიგნებით სწავლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ - განაცხადა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თეიმურაზ ბერიძემ.

სახელმძღვანელო „ეკონომიკური ზრდა“; (მე-3 გამოცემა) ქართულენოვანი თარგმანის სამეცნიერო რედაქტორია თსუ-ს მაკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი ნოდარ ხადურია. წიგნი თარგმნეს პროფესორებმა: მალხაზ ჩიქოვაძემ, ნაზირა კაკულიამ; რედაქტორია ასისტენტ-პროფესორი მანანა ლომჯანიძე.

როგორც პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა, პროფესორმა ნოდარ ხადურმა აღნიშნა: „უნივერსიტეტში მნიშვნელოვან საქმეს ჩაუყარა საფუძველი და დღეს, ჩვენ სტუდენტებს, შესაძლებლობა აქვთ მშობლიურ ენაზე გაეცნონ სასწავლო ლიტერატურას. აკადემიკოს



ვლადიმერ პაპავას რექტორობის დროს ფართოდ დაინერგა პრესტიჟული სახელმძღვანელოების მთარგმნელობითი საქმიანობა, და იმედი, მომავალშიც ასე გაგრძელდება. როდესაც ავიღეთ ეკონომიკური ზრდაში წამყვანი უნივერსიტეტების სილაბუსები, აღმოჩნდა, რომ უმეტეს ნაწილში სწორედ ეს სახელმძღვანელო იყო მითითებული, ამ წიგნის თარგმნაც ამიტომ გადავწყვიტეთ. ეს არის წიგნის მესამე გამოცემა, რომელიც გადამუშავებული და განახლებულია ახალი მონაცემებით.

საინტერესოა წიგნის სტრუქტურა, ასევე საკითხებიც, რომელიც ეკონომიკური ზრდის არსში ჩაწვდომისთვის არის მნიშვნელოვანი. მინდა ასევე აღვნიშნო სახელმძღვანელოს ტექნიკური მხარეც, რომელიც საკმაოდ კარგად არის შესრულებული და მოიცავს სწავლების სამივე დონეს: ბაკალავრიატს, მაგისტრატურას და დოქტორანტურას. სახელმძღვანელოს ელექტრონული ფორმით აქვს ის დამატებები, სადაც სტატისტიკური ინფორმაცია იძებნება, რომელიც წიგნში მოყვანილ დებულებებს ადასტურებს. ჩვენ, ბოლო 10 წლის განმავლობაში ეკონომიკური ზრდას სხვადასხვა მასალების კომბინაციით ვასწავლიდით, ამ სახელმძღვანელოში კი თავმოყრილია ყველა ის კვლევა, რომელიც ეკონომიკური ზრდას განაპირობებს“ - აღნიშნა პროფესორმა ნოდარ ხადურმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა წიგნის სარედაქციო და მთარგმნელობითი საბჭოს წევრებს წიგნზე გაწეული შრომისთვის.

წიგნის „ეკონომიკური პოლიტიკა (თეორია და პრაქტიკა)“ (ავტორები: აგნეს ბენასი - კუერი, ბენუა კიური, პიერ ჟაკი და ჟან პისანი-ფერი) თარგმანი მომზადდა თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ინიციატივით.

„სახელმძღვანელო დაგეხმარებათ გახდეთ კარგი მაკროეკონომისტი, კარგი ეკონომისტი. ის აუალიბებს მართებულ მიდგომებს და გაწვდით სწორ მეთოდოლოგიას თეორიული საძირკვლის ჩაყრით, თეორიის გამოყენებით მონაცემ-

ბის შესასწავლად“ - ვკითხულობთ მასაჩუსეტის ტექნოლოგიების ინსტიტუტის პროფესორის ოლივიე ზლანშარის წინასიტყვაობაში.

ის, რომ ასეთი უნიკალური სახელმძღვანელოები ითარგმნება, ამ საქმეში დიდი წვლილი აკადემიკოს გლადიმერ პაპავას მიუძღვის, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ჩვენი სპეციალისტების მაღალ კონკურენტუნარიანობას, რომლებიც, სამომავლოდ, რეალურ კონკურენციას გაუწევენ დასავლეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს“ - განაცხადა პროექტის ხელმძღვანელმა და წიგნის სამეცნიერო რედაქტორმა, პროფესორმა რევაზ გველესიანმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა წიგნზე გაწეული შრომისათვის თანარედაქტორებს: თსუ-ს ასოცირებულ პროფესორებს: ირინა გოგორიშვილს, გულნაზ ერქომიშვილს და ეკა ლუკაშვილს. მან ასევე მადლიერებით მოიხსენია თსუ-ს საგამომცემლო ჯგუფის წევრები: თ. ებრალიძე და ლ. წიკლაური, რომლებმაც უზრუნველყვეს წიგნის მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემა.

## ინფორმაცია ეკონომიკისა და ბიზნესში

პრაქტიკული სახელმძღვანელო „ინფორმაცია ეკონომიკისა და ბიზნესში“ თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრის პროფესორების კოლექტიური ნაშრომია. მის შექმნაში მონაწილეობდნენ: დემურ სიჭინავა, რუსუდანი სეთურიძე, თინა მელქიშვილი, დარეჯან ყირიმლიშვილი, თეიმურაზ გოგნაძე, გულადი ნაკაშიძე, მზია ტიკიშვილი, ცირა ჯაფარიშვილი და ვაჟა გოგიანიშვილი.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ინფორმაციის პრაქტიკულ სახელმძღვანელოს. მისი ძირითადი ნაწილი ეთმობა ელექტრონულ ცხრილს Ms Excel 2010-ს. ნაშრომი შედგენილია თვითმასწავლე-

ბლის (მოკარნახის) პრინციპით, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს ამ დისციპლინის ათვისების პროცესს. ეს მეთოდი წიგნის ავტორმა და მეცნიერ-რედაქტორმა დემურ სიჭინავამ პირველად დაწერა მსოფლიო საბაზრო პრაქტიკაში. მისი საავტორო უფლება საქართველოს საკატეტის მიერ არის დამტკიცებული.

პრაქტიკული სახელმძღვანელო, ძირითადად, განკუთვნილია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. იგი ასევე გამოადგება ინფორმაციის შესწავლით დაინტერესებულ ყველა მსურველს.

„წიგნის გამოცემის აუცილებლობა შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობა: ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზარზე Microsoft Office-ის ბოლო ვერსიების სწრაფი ტემპით გამოსვლამ, სწავლის ხარისხის ამაღლების ახლებურმა მიდგომამ და სასწავლო დისციპლინების - „ეკონომიკური ინფორმაციკისა“ და „ბიზნეს-ინფორმაციკის“ ინტეგრაციის აუცილებლობამ.

სახელმძღვანელო აწერია პრაქტიკულ, სინამდვილეში მას თეორიული დატვირთვაც აქვს. ნებისმიერი საკითხი ამ სახელმძღვანელოში მოკარნახეს სტილშია შესრულებული და ნებისმიერ პროცედურას სტუდენტს მასწავლებლის გარეშე შეასრულებს“ - აღნიშნა პროფესორმა დემურ სიჭინავამ, რომელმაც თსუ-ს ადმინისტრაციას მიმართა წინადადებით კომპიუტერული პარკის განახლებისა და ახალი რესურს-ცენტრის გაკეთების აუცილებლობის თაობაზე, სადაც, სავარაუდოდ, 175 კომპიუტერი განთავსდება. პროფესორის თხოვნას გამოეხმაურა თსუ-ს კანცლერი ნუნუ ოსიანიკოვა, რომელმაც აღნიშნა, რომ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის გაერთიანებული ძალებით პროექტი გარკვეული დროის მანძილზე განხორციელდება.

\*\*\*

უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, პროფესორმა მიხეილ ჩხენკელმა მიულოცა ფაკულტეტის ადმინისტრაციასა და პროფესორ-მასწავლებლებს ახალი სახელმძღვანელოების გამოცემა და მზადყოფნა გამოთქვა ამ მიმართულებით ყველა ფაკულტეტის ინიციატივის მხარდასაჭერად.

„სახელმძღვანელოების თარგმნა იმის დასტურია, რომ საქართველოში მიღებულ ცოდნასა და უცხოეთში მიღებულ ცოდნას შორის განსხვავება მცირდება. ეს ჩვენი უნივერსიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა და მინდა, მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც ამ პროცესში მონაწილეობს“ - განაცხადა აკადემიკოსმა გლადიმერ პაპავამ.

## აშშ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დაწყების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი სტუდენტური კონფერენცია

თამარ ლალიანი

სტუდენტური რეგიონალური სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია 27 აპრილს თსუ-ს ამერიკისმცოდნეობის სტუდენტთა სამეცნიერო წრის, ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტისა და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა. კონფერენცია აშშ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავს მიეძღვნა.

კონფერენციის გახსნას ესწრებოდნენ: პოლიტიკური-ეკონომიკური განყოფილების ხელმძღვანელი (ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში) ნისტრომი დუაიტ, თსუ-ს ვიცე-რექტორი მიხეილ ჩხენკელი, თსუ-ს ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელი და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის დირექტორი ვასილ კაჭარავა, თსუ-ს ამერიკისმცოდნეობის სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი ელენე მეძმარიაშვილი, ამერიკისმცოდნეობის სტუდენტთა სამეცნიერო წრის თავმჯდომარე მარიამ ხატიაშვილი, აკადემიური წრის წარმომადგენლები, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები.

თსუ-ს ვიცე-რექტორის განცხადებით, ქართული საზოგადოებისთვის, რომ-

ლიც ღრმად აფასებს აშშ-თან მეგობრობას, უმნიშვნელოვანესია ამერიკის მხარდაჭერა, განსაკუთრებით კი კვლევითი, სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით.

ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ვასილ კაჭარავამ ამერიკის შესწავლის საკითხების მნიშვნელობაზე ისაუბრა. მან განაცხადა, რომ საქართველოსთვის ამერიკა წარმოადგენს მოკავშირეს და სტრატეგიულ პარტნიორს, რომელიც საქართველოს თავისუფლების, განვითარების და წინსვლის გარანტია. მან მადლობა გადაუხადა ამერიკის საელჩოს წარმომადგენლებს აქტიური მხარდაჭერისთვის, ასევე ხაზი გაუსვა სტუდენტების დაინტერესებასა და აქტიურობას ამერიკის შესწავლის საკითხებში.

„ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო გახლავთ დიდი მეგობარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა. დღეს ვესწრებით შესანიშნავ კონფერენციას, რომელიც აშშ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავს მიეძღვნა. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როგორ ხედავენ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატებს, მის ისტორიასა და კულტურას“ - აღნიშნა ნისტრომი დუაიტმა.

თსუ-ს ამერიკისმცოდნეობის სტუდენტთა სამეცნიერო წრის თავმჯდომარ-

ის, კონფერენციის იდეის ავტორისა და ორგანიზატორის მარიამ ხატიაშვილის თქმით, კონფერენციის მუშაოში თსუ-ს ამერიკისმცოდნეობის მიმართულების სტუდენტების გარდა, მონაწილეობა მიიღეს: გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიისა და სდასუს უნივერსიტეტის სხვადასხვა მიმართულებისა და აკადემიური საფეხურის სტუდენტებმა. მონაწილეთა მოხსენებებში განხილულია აშშ-საქართველოს ურთიერთობები, ამერიკული გამოცდილება პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ საკითხებში.

წლებადეულ კონფერენციაზე 21 საუკეთესო მოხსენება შეირჩა. კონფერენციის მთავარი თემის ფარგლებში, სტუდენტებმა საკმაოდ მრავალფეროვანი თემატიკის მოხსენებები წარმოადგინეს. ისინი დაინტერესდნენ ისეთი კონკრეტული საკითხების შესწავლით, როგორცაა, მავალითად, „სამხედრო განათლება: აშშ-საქართველოს ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი (მომხსენებელი: ნიკა გაგნიძე), „აშშ-ის განათლების ინფორმაციზაციის გამოცდილების გაზიარება საქართველოში (მომხსენებელი: ანი ფლოადიშვილი), „ელისაბედ ქეითი სტენტონი და გრძობათა დეკლარაცია: ბრძოლა თანასწორუფლებიანობისათვის“ (მომხსენებელი:



მარიამ ფაიქიძე), „ამერიკული და ქართველი ქალების სტატუსი 1950-იან წლებში: შედარებითი ანალიზი“ (მომხსენებელი: ანი მღებრიშვილი), „აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტია: საწინდარი უკეთესი და მშვიდი ცხოვრებისთვის“ (მომხსენებელი: ბექა ვალიშვილი); „საპრეზიდენტო არჩევნების ზოგიერთი საკითხი საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობათა მიხედვით“ (მომხსენებელი: თამუნა მურჯინელი); „ქართულ ამერიკული ურთიერთობები საოპერო და საბალეტო სცენებზე“ (მომხსენებელი: ირაკლი გაბიძაშვილი) და სხვები.

კონფერენციის საზეიმო გახსნის შემდეგ, პროფესორმა, არქიტექტორმა ლენა კილაძემ პლენარულ სესიაზე საინტერესო მოხსენება წაიკითხა თემაზე: „ამერიკული არქიტექტურის პარადიგმა“.

კონფერენციის ბოლოს ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი და თსუ-ს სამახსოვრო საჩუქრები.



# „ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახრეთი საქართველო და ქართველები თურქეთში“


წიგნი თურქეთის ეთნოგრაფიული ქართველებით დაინტერესებულთათვის

მაია ბორაძე

სულ ცოტა ხნის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტისა და ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მიერ გამოიცა თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის როლანდ თოფჩიშვილის წიგნი „ისტორიულ-ეთნოგრაფიული სამხრეთი საქართველო და ქართველები თურქეთში“.

წიგნი თავმოყრილია მასალები, რომელიც შეკრებილია შავშეთ-იმერხევის, კლარჯეთ-ლიგანის, ტაოს პარხლისწყლის ხეობის, აგრეთვე შავი და მარმარილოს ზღვების რეგიონებში განსახლებულ მოსახლეობაში. მასალების მოძიება შესაძლებელი გახდა რამდენიმე ექსპედიციის შედეგად, რომელთაგან ნაწილი მკვლევართა თვითდაფინანსებით მიმდინარეობდა. დაგეგმილი სამუშაოების სრულყოფილად ჩატარების საშუალება კი მეცნიერთა ჯგუფს რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დამტკიცებულმა პროექტმა – „თურქეთის ქართველები: ისტორია, სულიერი და მატერიალური კულტურა, ენობრივი ვითარება“ – მისცა. როგორც წიგნის შესავალ ნაწილშია მითითებული, სამეცნიერო პროექტი განხორციელდა თამარ მეფის უნივერსიტეტის ბაზაზე (სამეცნიერო ხელმძღვანელი არქიმანდრიტი ადამი/ვახტანგ ახალაძე), ხოლო ექსპედიციებში მონაწილეობდნენ ნოდარ შოშიტაშვილი, როზეტა გუჩეიანი, ინგა ლუტიძე, გიორგი ავთანდილაშვილი, მირიან ხოსიტაშვილი და სხვები. მათ პროექტის მიმდინარეობისას და დასრულების შემდეგაც, აღნიშნულ საკითხებზე არაერთი სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნეს, როლანდ თოფჩიშვილმა კი, შეკრებილი მასალის გადამუშავების შედეგად, გამოსცა წიგნი, რომელიც დიდ სამსახურს გაუწევს თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველებით დაინტერესებულ პირებს.

წიგნი ბევრ სიახლეს მოიცავს ისტორიულ-ეთნოგრაფიული სამხრეთ საქართველოს შესახებ. აქ შე-



გვესაუბრება  
როლანდ  
თოფჩიშვილი

სულია მასალები ტაო-კლარჯეთის ისეთი ხეობებიდან და სოფლებიდან, სადაც აქამდე სავსე სამუშაოები არ ჩატარებულა, კერძოდ, ლიგანისა და მურულუს ხეობები, დევსქელისა და ქლასკურის მხარე, ჰორხის მარცხენა მხარე (ხატალისა და ქართლას მიმდებარე სოფლები). ყველაზე მთავარი, რაც საექსპედიციო საქმიანობით გაირკვა, ისაა, რომ თითქმის დადგინდა სოფლები, სადაც თურქეთში ეთნიკური ქართველები მკვიდრობენ. ეს სოფლები, ტაო-კლარჯეთის გამოკლებით, მინიმუმ 220-ია. მარტო ბურსის რეგიონებში 70 ქართული სოფელია, სინოპში – 56. სამეცნიერო კვლევებით ასევე გაირკვა, თუ რომელ დასახლებებშია შენარჩუნებული ქართული ენა, დადგინდა მთელი რიგი დასახლების არეალები, სადაც ადრინდელ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ.

გარდა ეთნიკური ქართველთა დასახლებების არეალის დადგენისა, ავტორი ურადლებას ამხვილებს ქართულ გვარ-სახელთა შენარჩუნებაზე, როგორც ქართული იდენტობის გამომხატველ ფაქტორზე და ჯერ კიდევ შემონახულ ქართულ წეს-ჩვეულებებზე. ავტორს ერთ-ერთ მაგალითად მოჰყავს იქაური ქართველებისთვის დამახასიათებელი აქამდე უცნობი ტრადიცია

ე.წ. მამობილის ინსტიტუტი, რომელშიც „მამობილი“ – საქორწინო ცერემონიის მთავარი ფიგურა, ხელოვნურად დანათესავებული პიროვნებაა. აქვე ნათქვამია, რომ „ქართველ მუჰაჯირთა სამშობლოდან აურის ძირითადი მიზეზი უყოველთვის რელიგიური ფაქტორი არ უოფილა, გადასახლების მიზეზს ხშირად მოსახლეობისგადამეტსახლებულობაც წარმოადგენდა“.

წიგნის ოც თავში მასალები სტრუქტურირებულია ეთნოგრაფიის, განსახლების არეალის, კონკრეტულ კუთხეში შენარჩუნებული ქართული გვარ-სახელების, ქართული იდენტობის, ქართველთა ეთნიკური ცნობიერების პრობლემების, ასევე მუჰაჯირ ქართველთა ენის, რელიგიის და ეთნიკური ცნობიერების ურთიერთმიმართების მიხედვით.

ავტორი ურადლებას ამხვილებს ამგვარი ექსპედიციების აუცილებლობის შესახებ და შესავალ ნაწილში წერს, რომ თურქეთში, ისე, როგორც საქართველოში, მოდერნიზაციის პროცესების გამო, ბევრი ტრადიცია და წეს-ჩვეულება იკარგება და საჭიროა სწრაფად ჩაიწიროს და დაფიქსირდეს ისინი. ამას გარდა, როლანდ თოფჩიშვილის აზრით, ამგვარ ექსპედიციებში მეგზურებად აუცილებლად უნდა ჩაერთონ

ადგილობრივი ქართველები. აქვე ის აღნიშნავს, რომ ექსპედიციის მუშაობა წარმატებული ვერ იქნებოდა, რომ არა იქაურ ქართველთა – გიორგი ირემადის, ტუფან ლომინაძის, ფეჰმი უხალუსტიაშვილის და სხვათა დახმარება. ავტორი გამოკვლევს ასევე პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის დამსახურებას, რომელიც, მისი თქმით, ექსპედიციისთვის „თურქეთში მცხოვრები ქართველების ენობრივი, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული შესწავლის ერთ-ერთი ინიციატორი და ერთგვარი ხაზის გამკვალავი გახლდათ“.

წიგნი – „ისტორიულ-ეთნოგრაფიული სამხრეთი საქართველო და ქართველები თურქეთში“ მცირე ნაწილია იმ მასალისა, რაც ქართველმა მეცნიერებმა ექსპედიციების შედეგად ჩამოიტანეს. ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ ქართველი ჰუმანიტარები მომავალშიც გააგრძელებენ ამ მიმართულებით მუშაობას, რაც სასწრაფო და საშური საქმეა.

წიგნის რედაქტორები არიან ტუფან შაფაჯ ლომინაძე, ერდოღან შენოლი (ერეკლე დავითაძე), ნოდარ შოშიტაშვილი. წიგნი გამოსცა გამომცემლობა „უნივერსალმა“. გარეკანზე გამოსახულია ოშკის ფოტო, რომლის ავტორია გოგა ჩანადირი.



## ქართული ენის დღე თურქეთში

პრეტონია ბაროშვილი

თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველები, რომლებიც დღემდე მუჰაჯირების შთამომავლებად ითვლებიან, განსაკუთრებით უფრთხილდებიან ძველ ტრადიციულ ადათ-წესებს, ქართულ ენას არ ივიწყებენ და ინარჩუნებენ თავიანთ ეთნიკურ იდენტობას. ამ მხრივ არც ბურსის ვილაიეთის ქალაქი ინეგოლია გამონაკლისი, სადაც უკვე ტრადიციულად იქცა დედაენის დღის სახეიმოდ აღნიშვნა. ქართველი მეცნიერები, ეთნოლოგები და ისტორიკოსები ხშირად სტუმრობენ ქართველებით დასახლებულ რეგიონებს, ისინი ექსპედიციების გარდა კულტურულ ღონისძიებებშიც მონაწილეობენ და თავიანთი წვლილი შეაქვთ თურქეთში მცხოვრები ქართველების განათლებაში.

14 აპრილს ინეგოლში, ადგილობრივი ქართველების მიერ ჯერ კიდევ 1977 წელს დაარსებული „აკაკასის ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოების“ ორგანიზებით სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. ქართველმა მეცნიერებმა კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს და ქართულ-თურქულ ურთიერთობებზე



ისაუბრეს. ამავე ღონისძიებაზე მოეწყო თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელის, პროფესორ როლანდ თოფჩიშვილის ახალი წიგნის – „ისტორიულ-ეთნოგრაფიული სამხრეთი საქართველო და ქართველები თურქეთში“ – პრეზენტაცია.

პროფესორ როლანდ თოფჩიშვილის ინფორმაციით, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, სადაც ქართული მოსახლეობა ცხოვრობს, ქართველმა

მეცნიერებმა და მკვლევრებმა ექსპედიციების დროს უამრავი საინტერესო მასალა ჩააწერეს. „სწორედ ამ კვლევათა შედეგებია ასახული ჩემს ახალ წიგნში, რომლის პრეზენტაცია ინეგოლში შედგა. სიმბოლურია, რომ სამეცნიერო კონფერენცია სწორედ ქართული ენის დღეს, 14 აპრილს გაიმართა. თურქეთის ამ პატარა ქალაქში ვიზიტმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ იქაური ქართველები არათუ ივიწყებენ ქართულ ენას, არამედ სწავლობენ და

თაობებს გადასცემენ თავიანთ ცოდნას. კონფერენცია მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივაც, რომ ასეთი ღონისძიებები ხელს უწყობს ადგილობრივ ქართველთა ეთნიკური ცნობიერების გაღვივებას, სხვადასხვა თაობის ჩართულობას. თუ წლების წინ იქაური საზოგადოების განათლებული ნაწილის გარდა დანარჩენებმა არაფერი იცოდნენ საქართველოს ისტორიის, ქართული ენის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის შესახებ, ახლა უკვე ამ მხრივ ვითარება მკვეთრად შეიცვალა. შესაბამისად, ღონისძიება კულტურულ-საგანმანათლებლოც იყო. მნიშვნელოვანია, რომ ეს მოვლენა ადგილობრივმა პრესამაც გააშუქა“, – აღნიშნა როლანდ თოფჩიშვილმა.

თსუ-ს პროფესორის როზეტა გუჩეიანის თქმით, სამეცნიერო-კულტურული ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარება ადგილობრივი ძალებისა და საქართველოში თურქეთის საელჩოს დახმარებით განხორციელდა.

„ამგვარი მასშტაბურობით დედაენის დღის აღნიშვნის ტრადიცია ბოლო 4 წელია დამკვიდრდა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ღონისძიებები თურქეთის სხვა ქალაქებშიც იმართება. ინეგოლი



# პირველი ხელეწივე ქართული მედიაციის ეთიკაში

ნათია ჩიტაშვილი

**ნ**ურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქტორი, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი ნათია ჩიტაშვილი საქართველოში მედიაციის ეთიკაში პირველ მეცნიერულ კვლევას ახორციელებს. პროექტი მაქს-პლანკის სახელობის სახლ-ვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტის სტიპენდიის ფარგლებში ხორციელდება. კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია მედიაციის ეთიკის კოდების შემუშავებისას, სასწავლო კურსულუმში და მედიატორების კადრების მომზადების პროცესში.

მედიაციის ინსტიტუტის ევროკავშირის სამართალთან ჰარმონიზების მიზანს ემსახურება სამართლის დოქტორის, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის, სერტიფიცირებული მედიატორისა და საქართველოს მედიატორთა ასოციაციის გამგეობის წევრის ნათია ჩიტაშვილის მიერ ჰამბურგის მაქს-პლანკის სახელობის სახლ-ვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტის (Max Planck Institute for Comparative and International Private Law) კვლევითი სტიპენდიის მოპოვება. კვლევა განხორციელდება ჰამბურგში, მაქს-პლანკის სახელობის სახლ-ვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტის დირექტორის, ემერიტუს პროფესორ კლაუს ჰოპტის ხელმძღვანელობით.

„2011 წელს მედიაციის ინსტიტუტის, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ფორმის, საკანონმდებლო იმპლემენტაცია საქართველოში და თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის დაფუძნება დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობისკენ გადადგმული პროგრესული ნაბიჯი იყო. „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ხელმოწერამ და მედიაციის ინსტიტუტის განვითარების განვლილმა გამოცდილებამ საქართველო, როგორც ევროინტეგრაციის პროცესის განუყოფელი ნაწილი, დააყენა მედიაციის კანონმდებლობის სრულყოფის გადაუდებელი ამოცანის წინაშე. სამართლისადმი ხელმისაწვდომობის ზრდა ევროკავშირის პოლიტიკის ფუნ-

დამენტური ღირებულებაა. აღნიშნული კუთხით საქართველოს ვალდებულება გულისხმობს დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის მხარდაჭერას არა მხოლოდ პოლიტიკურ სივრცეში, არამედ სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, დანერგოს დავის გადაჭრის შესატყვისი მექანიზმები ქვეყნის ფარგლებში.

საქართველო, როგორც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანა, ევროკავშირის სახელმწიფოების საერთო ღირებულებების მოზიარება. საქართველოს მისწრაფება ჩაერთოს ევროპის საერთო სამართლებრივ სივრცეში, დანერგოს ევროკავშირის ფუნდამენტური ღირებულებები და შეუსაბამოს შიდასახელმწიფოებრივი სტანდარტები ევროკავშირის სამართლის დემოკრატიულ პრინციპებს. „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ პრეამბულაში ხაზგასმული დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის სისტემის სრულყოფის მიზანი საქართველოს ევროპული ინტეგრაციის ერთ-ერთი განმსაზღვრელი პრინციპია“, – განაცხადა ნათია ჩიტაშვილმა.

საერთაშორისო სივრცის მსგავსად, საქართველოში მედიაციის განვითარების კვლევითი პროფესიული ეთიკის დამოუკიდებელი სფერო – მედიაციის ეთიკა უაღრესად მნიშვნელოვანია ჩართულია მედიაციის კანონპროექტისა და მედიაციის ეთიკის კოდების შემუშავებულ კვლევაში, რომელშიც ასევე წარმოდგენილი არიან სახელმწიფოსა და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ექსპერტები. მედიაციის კანონმდებლობის სრულყოფის ფონზე ნათია ჩიტაშვილის კვლევის მიზანია საერთაშორისო პრაქტიკის, უპირველესად, ევროპის ქვეყნების

გამოცდილების შესწავლა მედიაციის ინსტიტუტის ეთიკური საფუძვლების რეკომენდებული მოწესრიგების, მედიატორის ქცევის წესებისა და მედიაციაში წარმომადგენლობის ეთიკური საფუძვლების განსაზღვრისთვის. მედიატორის ქცევის ეთიკური სტანდარტების შემუშავების მეცნიერული საფუძვლის მომზადება მნიშვნელოვნად დაეხმარება მედიაციის პროფესიონალების მედიაციის ეთიკის თვითრეგულირების დამოუკიდებელი მექანიზმების იმპლემენტაციაში. კვლევის ავტორის თქმით, „მედიატორის ეთიკის სტანდარტების დადგენა არსებითად წაახალისებს სახელმწიფოს მხრიდან, მედიაციის, როგორც ეთიკურ სტანდარტებზე დაფუძნებული პროცესის, მხარდაჭერას. ეთიკის წესების უზრუნველყოფი პასუხისმგებლობის განსაზღვრა კი ეთიკის წესებსა და ვალდებულებებს აღსრულებად გახდის. კვლევის საფუძველზე მედიატორისა და მედიაციის მონაწილე წარმომადგენლების ეთიკური ქცევის საფუძვლების განსაზღვრა ხელს შეუწყობს მედიაციის, როგორც მხარეთა ნებაყოფლობითობაზე, კონფიდენციალურობაზე, თვითპასუხისმგებლობასა და მედიატორის ნეიტრალურობაზე დაფუძნებული პროცესის მიმართ საზოგადოების ნდობის გაღრმავებას და მისი, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტის, წარმატებულ სახელმწიფოებრივ ინსტიტუციონალიზაციას“.

ნათია ჩიტაშვილმა კვლევის პირველი ნაწილი უკვე განახორციელა, პროექტის დასრულება აგვისტოსთვის იგეგმება. გარდა იმისა, რომ კვლევის შედეგები მედიაციის ეთიკის კოდების შემუშავებაში მნიშვნელოვან წვლი-



ნათია ჩიტაშვილი

ლს შეიტანს, ასევე იგეგმება მედიაციის ეთიკის კურსის დანერგვა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამაშიც და შესაბამისი სახელმძღვანელოს გამოცემაც. მედიაციის სფეროში ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მედიაციის სფეროში ქართულენოვანი ლიტერატურა საკმაოდ მწირია, თუ არ ჩავთვლით თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო პერიოდულ ჟურნალს „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწადური“, რომელიც 2012 წლიდან ქვეყნდება და შესულია ჰარვარდის უნივერსიტეტისა და მაქს-პლანკის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკების ბაზებში.



## ქართული ენის დღე თურქეთში

მე-11 გვერდიდან

კი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ აქ მოსახლეობა კომპაქტურად არის დასახლებული. მესამე წელია აქ დედაენის სწავლებაც მიმდინარეობს. „კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოების“ დაარსება იქ მცხოვრები დიდი ქართველების: მთარგმნელისა და მეცნიერის ვახტანგ მალაყმადისა (ჰაირი ჰაირიოლუ) და ახმედ მელაშვილის დამსახურებაა. თუმცა, იმ წლებში არ შეიძლებოდა სიტყვა – „ქართველის“ – ჩართვა ორგანიზაციის სახელწოდებაში. ამ საზოგადოებას უკვე მრავალი თაობა ჰყავს აღზრდილი. თავდაპირველად აქ მხოლოდ ქართული ფოლკლორი იწავლებოდა, მაგრამ ბოლო წლებში, რაც ამ ორგანიზაციის სათავეში უდგას ადგილობრივი ახალგაზრდა ომეგ ფარუქ დემირთაში, სხვა უფრო მნიშვნელოვანი ასპექტებიც შეიძინა საზოგადოებამ – დაიწყო დედაენის სწავლება, რომელშიც ყველა თაობის

ქართველია ჩართული. მნიშვნელოვანია ასევე მათი აქტიურობა ყველა იმ ღონისძიებაში, რასაც, ზოგადად, თურქეთში მცხოვრები ქართველები ახორციელებენ, მათ შორის, 26 მაისის ღონისძიება, რომელსაც „ქართული ზემი“ დაარქვეს. ამავე საზოგადოების ეგიდით დაარსდა ქართული ენისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომელშიც ქართველი და თურქი მეცნიერები მონაწილეობენ. წელს ამ საზოგადოების თავმჯდომარემ და მისმა მეგობრებმა ბიბლიოთეკა და სასწავლო ფართიც მოაწყვეს. დედაენას სხვადასხვა ასაკის ქართველებს მეცნიერი, მწერალი და მთარგმნელი აბდულაჰ თათაროლუ ასწავლის“, – აღნიშნა როზეტა გუჯეიანმა.

აღსანიშნავია, რომ წელს კონფერენციაზე 4 მოხსენება იყო წარმოდგენილი. როზეტა გუჯეიანმა თავის მოხსენებაში – დედაენა, როგორც ეთნიკური იდენტობის განმსაზღვრელი მექანიზმი – ყურადღება გაამახვილა იქაურ ქართველთა მეტყველებაზე, რომელიც უძველეს ქართულ სიტყვებს შეიცავს

და რომელთა კვლავ „გაცოცხლება“ და სალიტერატურო ქართულში შემოტანა, ეთნოლოგის ახრით, მნიშვნელოვანი იქნება. აბდულაჰ თათაროლუმ დამსწრე საზოგადოებას გააცნო ოსმალური ლიტერატურიდან ქართულ ენაზე ნათარგმნი ადგილობრივი დიდი მწერლის ახმედ მითხად ეფენდის წიგნი – „ქართველი ასულის შურისძიება“. პროფესორმა როლანდ თოფჩიშვილმა თავის მოხსენებაში ვრცლად ისაუბრა ქართული ენის ვითარებაზე საქართველოსა და თურქეთულ ქართველთა შორის. საინტერესო იყო ასევე თურქეთში მოღვაწე მეცნიერის ნანა კაჭარავას მოხსენებაც, რომელმაც 14 აპრილის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

„ჩვენთვის თვალსაჩინო იყო ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა ამ ღონისძიებაში. ეს ღონისძიება კიდევ ერთი ბიძგი იყო თურქეთში მცხოვრებ ქართველებში ეროვნული ცნობიერების გაღვივებისათვის“, – აღნიშნა როზეტა გუჯეიანმა.



როზეტა გუჯეიანი

# ხარენ გარსი მარტინი: ბოლო წლებში ახალი ტალღა შეინიშნება, რომ ექლესია სახელმწიფოს გამოეყო

ნაბო ობოლაძე

**„ექლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა ევროკავშირში“ და „რელიგიური თავისუფლება ესპანეთში“ – აღნიშნულ თემებზე ესპანეთის ლა კორუნას უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, პროფესორმა კარმენ გარსი მარტინმა თსუ-ში ინტენსიური საღვთისმეტყველო კურსი წაიკითხა.**

რელიგიური კონფესიებისა და სახელმწიფოს ურთიერთობები მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად მოიაზრება. რა ვითარებაა დღეს და ურთიერთობის როგორი ფორმებია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ჩამოყალიბებული, რამდენად არის უზრუნველყოფილი რელიგიური თავისუფლება საქართველოში? – ვთავაზობთ ამ საკითხებზე ესპანელი პროფესორის კარმენ გარსი მარტინის მოსაზრებებს.

ნაწილი ხშირად გამოხატავს უკმაყოფილებას მართლმადიდებლური ეკლესიისადმი მიწვევული პრივილეგიების თაობაზე. მაგალითად, საზოგადოების ნაწილი აკრიტიკებს ეკლესიისთვის მიწის გადაცემის საკითხს და ა.შ. როგორ შეაფასებთ აღნიშნულ ვითარებას?

– სამართლებრივი თვალსაზრისით, არ არის ადვილი სწორი მიდგომის პოვნა ქვეყნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე რელიგიასთან. მართლმადიდებლობა ის დომინანტი რელიგიური კონფესიაა საქართველოში, რომელიც ასევე ქართული კულტურის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ეს გამოხატულია კონსტიტუციის მეცხრე მუხლით: „სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან“. ეს მუხლი თავისთავად არ მოიცავს არანაირ პრივილეგიას. ასეთი საკითხების განხილვა შესაძლებელია მხოლოდ ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით. ბევრი ევროპული ქვეყანა იზიარებს მსგავს ურთიერთობას სახელმწიფოსა და ეკლესიის შორის, მაგალითად, ესპანეთის კონსტიტუციაში აღნიშნულია: „სახელმწიფო უნდა გაითვალისწინოს საზოგადოების რელიგიური აღმსარებლობა და უზრუნველყოს თანამშრომლობა კათოლიკურ ეკლესიასა და სხვა აღმსარებლობებს შორის“. იგივე შეიძლება მოიტყობოს უნგრეთის, სომხეთის, ბულგარეთისა და პოლონეთის კონსტიტუციებშიც. არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ბევრ ევროპულ ქვეყანაში არსებობს სახელმწიფო რელიგიები და აღიარებული ეკლესიები, მაგრამ როგორც აღნიშნეთ, ბოლო წლებში ახალი ტალღა შეინიშნება, რომ ეკლესია სახელმწიფოს გამოეყო.

ჩემი აზრით, სახელმწიფომ უნდა აირჩიოს ნეიტრალიტეტი და დააბალანსოს მართლმადიდებლური ეკლესიისა და კანონით აღიარებული სხვა რელიგიების უფლებების თანასწორობა. ამის გააანალიზება და იმპლიმენტაციას შეიძლება გარკვეული დრო დასჭირდეს, მაგრამ დღესდღეობით ევროპული ქვეყნები მიემართებიან რელიგიური პლურალიზმისკენ, შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია ააჟღეს ამ ახალ ტრენდს.

– ევროპის ბევრ ქვეყანაში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სხვადასხვა სამართლებრივი ფორმებია დამკვიდრებული, ამავე დროს ადამიანის უფლებების დაცვის საკმაოდ მყარი სისტემაა შექმნილი. რა არის მთავარი ასეთ დროს, რაც უზრუნველყოფს ამ ბალანსს სახელმწიფოს, ეკ-



კარმენ გარსი მარტინი

### ლესიასა და საზოგადოებას შორის?

– ცხადია, რომ ადამიანთა უფლებების დაცვა ფუნდამენტურადაა საჭირო. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს მიერ ნებადართულია ე.წ. „შეფასების თავისუფლება“, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ქვეყანას – ავარჯიშოს განედის ხარისხი იმ მეთოდით, რომელიც გამოყოფს მათ ვალდებულებებს კონვენციისგან. თუმცა, ურთიერთობის სისტემა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის არ არის ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს კომპეტენცია. ეს არის თითოეულ ქვეყანაზე დამოკიდებული – აირჩიონ სისტემა, რომელსაც ამჯობინებენ. რასაკვირველია, სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის თანამშრომლობა, გაყოფასთან ერთად, არის უკეთესი მოდელი, მაგრამ ვერაფერ და არაფერი აუკრძალავს ქვეყანას აირჩიოს სხვა ვარიანტი, მთავარია რელიგიური თავისუფლება იყოს დაცული. ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, რომ, ფაქტობრივად, ევროპულ ქვეყნებში მრავალფეროვანი სისტემები არის დანერგილი.

რა თქმა უნდა, თეოკრატია ან ოფიციალური ათეიზმი არ უნდა იყოს მიღებული, რადგან ისინი არ ეთავსება რელიგიურ თავისუფლებას. თუმცა, ამჟამად, ეს არ არის დიდად შესაშფოთებელი თემა ევროპაში.

– როგორ შეაფასებთ საქართველოში სხვა რელიგიური კონფესიების სამართლებრივ სტატუსს? რამდენად არის დაცული მათი უფლებები?

– დიდი ცოდნა არ გამაჩნია ქართული კანონმდებლობისა და, შესაბამისად, გამიჭირდება საკუთარი აზრის გამოხატვა ამ საკითხზე. მიუხედავად ამისა, კონსტიტუცია იცავს რელიგიურ თავისუფლებას (ინდივიდუალურ დონეზე მაინც) და გზას უკაფავს კოოპერაციის სისტემას. კონსტიტუციური ჩარჩოები მოიცავს დაცვის უმაღლეს სტანდარტებს.

– თქვენ თსუ-ში წაიკითხეთ ლექციათა ციკლი – როგორ არის უზრუნველყოფილი რელიგიური თავისუფლება ესპანეთში...

– ესპანეთის კონსტიტუცია იცავს რელიგიურ თავისუფლებას როგორც ინდივიდუალურ, ასევე კოლექტიურ დონეზე. რელიგიური თავისუფლების ზოგადი კანონი მიღებულ იქნა 1980 წელს და ძალაშია დღემდე. პრეცედენტულმა სამართალმა განმარტა ზოგიერთი საკითხი, რომლებსაც სჭირდებოდა ინტერპრეტაცია. ჩვენ ვერ დავივიწყებთ იმ ფაქტს, რომ მე-20 საუკუნეში ესპანეთი იყო სექტანტური ქვეყანა (თითქმის 40 წლის განმავლობაში) და დასჭირდა ძალისხმევა ამ სიტუაციის შესაცვლელად, თუნდაც იურიდიული თვალთახედვით.

დღეს, ჩვენ გვაქვს იურიდიული ინსტრუმენტები რელიგიური თავისუფლების დასაცავად, თუმცა არის შეუმჩნეველი რისკი, რომელსაც შეუძლია შეასუსტოს ეს უფლება. ვსაუბრობ იმ ტენდენციებზე, რომელიც არასწორად იგებს ეკლესიის და სახელმწიფოს გაყოფის მოთხოვნებს და

იურიდიული სისტემის იდენტიფიცირებას ახდენს, რომელიც აღიარებულია ქვეყლა პოლიტიკური პარტიის მიერ – სეკულარიზმი, პოლიტიკური პრინციპი, რომლის მიზანია საჯარო სივრცეიდან რელიგიის მოცილება. ქვეყანა უნდა იყოს ნეიტრალური, საზოგადოება კი – პირიქით. სეკულარიზაცია არ უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ მართული, რადგან ნეგატიური მიდგომა რელიგიის მიმართ ვერ იქნება ნეიტრალური და, შესაბამისად, ვერც კონსტიტუციასთან შეთანხმებული.

– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ესპანეთის ლა კორუნას უნივერსიტეტის თანამშრომლობა კონკრეტულად რას ითვალისწინებს და როგორ შეაფასებთ მას?

– ჩვენი ურთიერთობა დასაწყისიდანვე სასიამოვნო იყო. თსუ-ს სტუდენტებმა, რომლებიც მივიღეთ კორუნას სამართლის სკოლაში, სასამართლოსა და ინგლისურის ცოდნით დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. ჩემი აზრით, მათ მოეწონათ ჩვენთან და ასევე კარგად შეეგუვნენ ესპანური ცხოვრების სტილს. გასულ წელს დეკანი ირაკლი ბურდული და პროფესორი ლელა ჯანაშვილი ესტუმრნენ ჩვენს უნივერსიტეტს, რაც ურთიერთთანამშრომლობაში კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია. ამ სემესტრში „ერასმუს 107“-ის ფარგლებში ჩვენი უნივერსიტეტიდან კიდევ რამდენიმე პროფესორი ეწვევა თსუ-ს და დაიგეგმება ახალი პროექტების განხორციელება. კორუნას უნივერსიტეტის იურიდიული სკოლის ამჟამინდელი დეკანი ხოსე ანტონიო სეონე და მისი წინამორბედი დეკანი ხოსე მანუელ ბუსტო დაინტერესებული არიან ამ ურთიერთობის გაღრმავებით. მათ პოზიციას ვიზიარებთ ის პროფესორებიც, ვისაც გვჭონდა საქართველოში ყოფნისა და თსუ-ში ლექციების წაკითხვის საშუალება.



# ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობაში სახვლევი ჯარ ხიდუხ ბევრია

**23** აპრილი ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღეა. 1876 წლის ამ დღეს ქალაქ თბილისში მოეწეოდა იგი ქვეყნის მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის ყველაზე თვალსაჩინო ხატი უნივერსიტეტი, რომელიც მისთვის იყო საშუალება ახალი ქართული მეცნიერების დასაფუძნებლად, რასაც ახალ ვითარებაში ქართველი ერის წარმატება უნდა მოჰყოლოდა. ეს დიდი მისია მეტ-ნაკლები სისრულით განხორციელდა კიდევ.

ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ბევრი წიგნი და წერილი მიეძღვნა, მაგრამ საკვლევი და დასადგენი არ ამოწურულა. სხვადასხვა არქივსა და ფონდში ახალი მასალები ჩნდება, რომელიც მეცნიერის ბიოგრაფიას ახალი დეტალებით ამდიდრებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ის, რაც საბჭოთა პერიოდში ვერ დაიწერებოდა, დღეს მათი კვლევა ადვილია, თანაც აუცილებელი. ყველაფერი ეს საჭიროს ხდის, რომ დიდი მემკვიდრეობა, უკვე არსებული კვლევებზე დაჟრდნობით და ამ ახალი მასალების გამოყენებით, მთლიანობაში გავიზრდეთ. უოველივე ეს შესაძლებლობას მოგვცემს კარგად წარმოვიდგინოთ, ერთი მხრივ, ის ეპოქა, როცა მოღვაწეობდა ივანე ჯავახიშვილი და, მეორე მხრივ, ამ ეპოქის ფონზე დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის გარჯის სიდიდე.



\*\*\*  
ზაქათალის ოლქზე საქართველოს უცილობელი უფლება აქვს ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს კუთხე უძველეს დროიდან ქართველ ერის მკვიდრ მიწა წყალს შეადგენდა და ჰერეთის სახელით ცნობილ ქართულ კულტურისა და ხელოვნების ასპარეზად ითვლებოდა. მე-XVII-ე ს-ის პირველ მეოთხედამდე ის მუდამ ქართველთა უდავო სამფლობელოსა და საკუთრებას შეადგენდა. თათრები, ანუ თურქები აქ მხოლოდ შაჰბაზის, საქართველოს ამ დაუძინებელ მტრის წყალობით გაჩნდნენ: ჩვენი ქვეყნის აოხრების შემდეგ მან აქ თავისი ერთგული მამამდიანი ტომი ჩაასახლა, რომ ამით სპარსეთს შემდეგში საქართველოში შესვლა გაადვილებოდა. ამ გარემოებას ქართველთათვის რასაკვირველია ახალი უფლებრივი მდგომარეობის შექმნა არ შეეძლო და შემდეგშიც ჰერეთიც, იგივე საინგილო, ანუ ზაქათალის ოლქი საქართველოს კუთვნილებად ითვლებოდა. ეს მართლ ქართულ წყაროებით არა მტკიცდება, არამედ რუსულ ოფიციალურ წყაროებშიც არის აღბეჭდილი: სახელდობრ 1743 წ. მოსკოვში დასაბუთებული მაშინდელი საქართველოს რუსულ რუკაში, რომელიც პეტერბურგში სამხედრო სამინისტროში ინახება, ეს კუთხე კახეთის სამეფოს განუყოფელ ნაწილად არის აღნიშნული. ხოლო რუსეთის ელჩის ბურნაშვილის მიერ 1784 წ. შედგენილ საქართველოს რუკა ცხადად ამტკიცებს, რომ ერეკლე II-ის მიერ რუსეთთან 1783 წ. ხელშეკრულების დადების დროსაც ზაქათალის ოლქი საქართველოს უცილობელ კუთვნილებად ითვლებოდა. მასასადამე საქართველოს ამ ოლქზე უფლება დადებულ ხელშეკრულების ძალით რუსეთიც მოვალე იყო მთელი თავისი ძალით დაეცვა.

ივ. ა. ჯავახიშვილი  
ტფილისი.  
1920.12.V

დღეს ამ მასალას აღნიშნული პრობლემის გადაჭრა არ შეუძლია, მაგრამ საკითხი ისტორიისათვის მნიშვნელოვანია. ამგვარი მასალები კი ერის გარდასული

ცხოვრების შესახებ მის არქივში მრავალია, რომელთაც კვლევა და გამოკვლევა სჭირდება.

## ივანე ჯავახიშვილის ცენტრის მისია

ივანე ჯავახიშვილის მიერ დაფუძნებული უნივერსიტეტი მოვალეა, ერთი მხრივ, იკვლევდეს იმ საფუძვლებს, რომელზეც აღმოცენდა და, მეორე მხრივ, ახალი, შეცვლილი პირობების კვალობაზე ითვალისწინებდეს ამ მემკვიდრეობას, როგორც შთამომავალი და მემკვიდრე. ამავე დროს ამ ვალდებულებას უნდა გრძნობდეს თითოეული პირიც, ვინც თავს უნივერსიტეტულს უწოდებს. ამ პასუხისმგებლობის შეგნებით დაფუძნდა ივანე ჯავახიშვილის ცენტრი, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირი. ცენტრის მუშაობას წარმართავს საქსპერტო საბჭო, ვინაიდან ივანე ჯავახიშვილი მრავალმხრივი ინტერესის მქონე მეცნიერი იყო და იკვლევდა საკითხებს მეცნიერების ამა თუ იმ დარგებიდან, საქსპერტო საბჭო ამის მიხედვით სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებით დაკომპლექტდა.

ცენტრის მიზანია შეისწავლოს ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობა მისი თანამედროვეობის კონტექსტში და ხელი შეუწყოს მიღებული შედეგების ჩართვას სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროცესში. ამ მიზნის მისაღწევად ცენტრის ამოცანებია:

ივანე ჯავახიშვილისა და მასთან დაკავშირებული სხვა გამოჩენილ პირთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალების გამოკვლევა, ელექტრონულად გადმოღება (დიגיტიზაცია), შესწავლა და სისტემატიზაცია;

ივანე ჯავახიშვილის მუდმივად განახლებადი პერსონალური ვებ-გვერდის შექმნა;

ივანე ჯავახიშვილის თვალთახედვის არეში არსებული სამეცნიერო და საზოგადოებრივი თემატური საკითხების კვლევა;

ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის კონტექსტში სამი დიდი თაობის – მის წინამორბედ მოღვაწეთა, თანამედროვეთა და მემკვიდრეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკითხების კვლევა;

ცენტრის მიერ მომზადებული ორიგინალური თუ ნათარგმნი ნარკვევების, შრომების, ალბომების და სხვა სახის სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომებისა და პერიოდიკის გამოცემა, როგორც ბეჭდურად, ისე ელექტრონული ფორმატით.

ცენტრმა უკვე განახორციელა რამდენიმე აქტივობა. კერძოდ, მიმართა ძეგლთა დაცვის ეროვნულ სააგენტოს ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის თაობაზე. სააგენტომ ამ მიმართვის საფუძველზე ნაგებობას ჯერ მინიჭა ძეგლის სტატუსი, შემდეგ კი შედგა უხოს შემოღობვისა და შენობის რეაბილიტაციის პროექტები. უკვე მიმდინარეობს უხოს შემოღობვის სამუშაოები;

ცენტრს შექმნილი აქვს ივანე ჯავახიშვილის პერსონალური ვებ-გვერდი (<http://ivane.ge>), თუმცა ჯერჯერობით სათანადო მასალების სრულყოფილად დაუმუშავებლობის გამო, მასში ატივირებული არააფერია. ეს ხარვეზი თანდათანობით გამოსწორდება;

ცენტრმა მოიძია და შეიძინა ივანე ჯავახიშვილის მონაწილეობით შექმნილი რუკები, დაამუშავა ისინი და თსუ მუზეუმთან ერთად მოაწყო გამოფენა „ივანე ჯავახიშვილის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა“. ამავე საათურით თსუ გამომცემლობამ დაბეჭდა შესაბამისი საგამოფენო მეგზური. ცენტრი სათანადო დაფინანსების მოძიების შემდეგ მზადაა აღნიშნული რუკები ფართო მასშტაბიანი ატლასის სახით გამოსცეს და ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადოს ის სამეცნიერო ინფორმაცია, რაც ამ რუკებზეა მოცემული;

ცენტრმა თსუ-ს 100 წლისთავის აღსანიშნავად თსუ-ს მუზეუმთან ერთად შეადგინა და თსუ-ს გამომცემლობამ დაბეჭდა ბროშურა, სადაც შევიდა ივანე ჯავახიშვილის მოხსენება, რომელიც მან წაიკითხა 1917 წ. 12 (23) მაისს თბილისში და 17 (29) მაისს ქუთაისში „ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ“;

ცენტრმა მოიძია მასალები და დაადგინა ის ადგილი, სადაც დაიბადა ივანე ჯავახიშვილი. ცენტრი უახლოეს ხანებში მიმართავს ქ. თბილისის ხელმძღვანელობას შესაბამისი წერილით, აღნიშნულ ადგილას ივანე ჯავახიშვილის ბიუსტის დადგმისა და უსახელო სკვერისათვის მისი სახელის მინიჭების თაობაზე;

ცენტრში მომზადდა ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი „ესკიზები ივანე ჯავახიშვილის პორტრეტისათვის“;

ცენტრმა მიზანშეწონილად მიიჩნია ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობის შესწავლის შედეგების საზოგადოებისათვის გასაცნობად გამოსცეს ელექტრონულად და ბეჭდურად აღმნიშნული „ჯავახიანი“. უკვე მომზადებულია აღმნიშნული სამი ტომი, რომელიც ახლა სარედაქციო დამუშავებას გადის და უახლოეს ხანებში იხილავს დღის სინათლეს.

ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობა მთელი ერის კუთვნილებაა და სასურველია, რომ მის შესასწავლად ყველამ თავისი წვლილი შეიტანოს. ცენტრი ღიაა თანამშრომლობისთვის ყველა დანტერესებულ პირთან თუ დაწესებულებასთან, ვისაც კი რაიმე ფორმით შეუძლია საქმე წინ წასწიოს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველას გვევალება, რომ ღირსეულ წინაპარს ღირსეული მემკვიდრეობა გავუწიოთ. ჩვენს ამ ამბიციის გასანაწილებლად ვიწვევთ ყველას – სტუდენტსაც და პროფესორსაც, ჩინოვნიკსაც და ბიზნესმენსაც, საქართველოს მოქალაქესაც და ქართველების უცხოელ გულშემატკივრებსაც, ვინცდღო ჩვენმა ერთობლივმა გარჯამ ისეთი ნაყოფი გამოიღოს, თავად დიდ ივანესაც რომ გაახარებდეს.

**დავით სართანია,**  
ივანე ჯავახიშვილის ცენტრის ხელმძღვანელი, ისტორიის დოქტორი;

**თეიმურაზ გვირაძე,**  
ივანე ჯავახიშვილის ცენტრის საქსპერტო საბჭოს სპიკერი, ისტორიის დოქტორი

## რატომ უნდა გვეკუთვნოდეს ზაქათალის ოლქი ჩვენ? – ივანე ჯავახიშვილის წერილი ხელისუფლებას

საქართველოს ეროვნულ არქივში ლევილისა და ჰარვარდის ფონდებზე მუშაობისას, დემოკრატიული საქართველოს მთავრობის სხვადასხვა მასალებში, (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 274, ფ. 1-2) აღმოჩნდა ივანე ჯავახიშვილის ხელით დაწერილი ორი ფურცელი, რომელიც, როგორც ჩანს, მან გაუგზავნა საქართველოს ხელისუფლებას. საქმე ისაა, რომ 1920 წლის 7 მაისს რუსეთსა და საქართველოს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს საზღვრებსაც ასახავდა. ამ ხელშეკრულებას მოჰყვა აზერბაიჯანის პროტესტი, რის გამოც 12 მაისს დამატებით შეთანხმებას მოეწერა ხელი. საქმე ეხებოდა ზაქათალის ოლქს, უოფილ საინგილოს. ივანე ჯავახიშვილი სწორედ 12 მაისს უგზავნის ხელისუფლებას ამ წერილს და განუმარტავს, თუ რატომ უნდა გვეკუთვნოდეს იგი ჩვენ. აქვე ვაქვეყნებთ ამ წერილს იმის ნიშნად, თუ რა მნიშვნელობა აქვს მეცნიერის ხელიდან გამოსულ თითოეულ ფურცელს.

### შპრთხია ბაროშვილი

**26** აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზის სცენაზე რუსთაველის თეატრის დასმა სპექტაკლი „სტუმარი“ წარმოადგინა. სპეციალურად სტუდენტებისთვის სპექტაკლის ჩვენება საქართველოს კულტურის პალატის, ქალაქ თბილისის მერიის, კომპანია „ფრეგოს“ ერთობლივი პროექტის – „გაუფრთხილდი ისტორიას“ ფარგლებში დაიგეგმა, რომელიც აქტიურად ჩაერთო თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობაც. სპექტაკლმა ანშლავით ჩაიარა და სტუდენტების დიდი დაინტერესება გამოიწვია.

სპექტაკლი „სტუმარი“ ერიკ-ემანუელ შმიდტის პიესის მიხედვით რეჟისორმა

## „სტუმარი“ უნივერსიტეტში

გოგა გორგოშაძემ დადგა. პიესა ზიგმუნდ ფროიდის ცხოვრების მძიმე პერიოდს – ვენაში ნაცისტების შეჭრას და ებრაელების დევნას ეხება. სწორედ ამ დროს ფროიდს უცნობი სტუმარი ეწვევა. მთელი მოქმედების განმავლობაში ისინი საინტერესოდ საუბრობენ და მანუარებისთვის ბოლომდე უცნობი რჩება, ვინ არის სინამდვილეში სტუმარი – ღმერთი თუ შეშლილი ადამიანი. ზიგმუნდ ფროიდის როლის შემსრულებლის, ზაჩო ჩაჩიბაიას აზრით, პიესაში წამოჭრილი პრობლემები ზოგადსაკაცობრიოა და ყველა ადამიანს აწუხებს.

საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტის დავით ოქიტაშვილის ინიციატივით, ამ პროექტის მიზანია ახალგაზრდებისთვის თანამედროვე ქართული კულტურის უკეთ გაცნობა. „პროექტის – „გაუფრთხილდი ისტორიას“ ფარგლებში

სამომავლოდ დაგეგმილია შეხვედრები ქართველ მწერლებთან, მხატვრებთან და კულტურის სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან. მადლოება მინდა გადავუხადო თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის წევრებს, რომლებიც დიდი ენთუზიზმით ჩაერთნენ ამ მეტად საინტერესო პროექტის განხორციელებაში, – განაცხადა დავით ოქიტაშვილმა.

თსუ-ს თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელის კახა ბალახაძის თქმით, თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტი პროექტის განხორციელებაში თავიდანვე აქტიურად ჩაერთო. „დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ კულტურის პალატას, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდებს შინაარსიანად გაატარონ თავისუფალი დრო“, – აღნიშნა კახა ბალახაძემ.



გახსენება

ღირსეულად გავლილი გზა

ამდინარე წლის 2 მაისს 90 წელი შეუსრულდებოდა ცნობილ ქართველ მეცნიერს, ეკონომიკური თეორიის აღიარებულ მკვლევარს, ახალგაზრდობის შესანიშნავ აღმზრდელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგეს, საქართველოს ეკონომიკური მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ ფუძემდებელს და ნამდვილ წევრს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ღირსების ორდენის კავალერს, ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს გიორგი გიორგის ძე ადგიშვილს. უკვე წლებია ჩვენს შორის აღარ არის გამორჩეული მამულივითი, მაღალი დონის თეორეტიკოს-მკვლევარი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, მუდამ მშფოთვარე, მოუსვენარი, შემართული და სპეტაკი პიროვნება, სიტყვისა და საქმის ერთგული კაცი.



1986 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იგი იყო ეკონომიკური თეორიის კათედრის ხელმძღვანელი.

პროფესორი გიორგი ადგიშვილი სხვადასხვა დროს შეთავსებით მუშაობდა სხვადასხვა სამეცნიერო და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე, 1972-1976 წლებში – საქართველოს სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-მუშაკად, 1974-1976 წლებში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ეკონომიკისა და დემოგრაფიის ლაბორატორიის მეცნიერ-ხელმძღვანელად, 1976-1978 წლებში – საქართველოს მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, 1975-1977 წლებში უძღვებოდა ამავე კომიტეტის სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოს, 1985-1987 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დემოგრაფიის განყოფილების უფროს მეცნიერ-მუშაკად. წლების განმავლობაში იყო საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს ეკონომიკის დარგობრივი სექციის წევრი, უფროსი მეცნიერ-მუშაკის „ეკონომისტი“ და „მაცნეს“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული პოლიტიკური ეკონომიის სპეციალური დისპერტაციების დაცვის სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის წევრი, საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს ეკონომიკის დარგობრივი სექციასთან არსებული საკოორდინაციო საბჭოს წევრი.

პროფესორი გიორგი ადგიშვილი იყო ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიული პრობლემების კვლევის საორგანიზაციო კომიტეტის, სსრ კავშირის განათლების კომიტეტის პოლიტიკური

ეკონომიის მეთოდური სექციის წევრი. პროფ. გიორგი ადგიშვილი აქტიურად მონაწილეობდა როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო მასშტაბით გამართულ სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, სადაც ღირსეულად წარმოაჩინდა ქართული ეკონომიკური მეცნიერების პრესტიჟს. ლექციების წასაკითხად მივლინებული იყო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და მექსიკაში. მისი ნაშრომები მუდამ სპეციალისტთა დიდ ყურადღებას იმსახურებდა.

პროფესორ გიორგი ადგიშვილის მოღვაწეობის სფერო მოიცავს ეკონომიკის როგორც თეორიული, ისე გამოყენებითი ხასიათის მნიშვნელოვან პრობლემებს. კვლევის ძირითადი მიმართულებებია:

1. ეკონომიკური თეორიის აქტუალური საკითხები, კერძოდ, ეკონომიკურ კანონთა მოქმედების თავისებურებები და გამოვლენის ფორმები საერთოდ, განსაკუთრებით კი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში, დიუნდების თეორიები, შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და შრომის ცვალებადობის კანონის მოქმედების თავისებურებების სხვადასხვა ეკონომიკურ სისტემაში, რენტის თეორიის საკითხები და სხვ. სამეცნიერო ლიტერატურაში ეკონომიკური კანონებზე არსებული შეხედულებების საწინააღმდეგოდ მან მეცნიერულად დაასაბუთა, რომ მცდარი იყო ეკონომიკური კანონების დაყოფა საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების კანონებად;

2. შრომითი რესურსების კვლავ წარმოებისა და შრომითი პოტენციალის ფორმირების კანონზომიერებები საქართველოში. მან დაასაბუთა შრომითი რესურსების დეფიციტის ახსნის მცდარობა მხოლოდ დემოგრაფიული სიტუაციიდან გამომდინარე, მოგვცა ხალხმოსახლეობის კანონის ახლებური ინტერპრეტაცია და უარყო ეკონომიკური ლიტერატურაში გაბატონებული

შეხედულება ხალხმოსახლეობის კანონის შინაარსში დემოგრაფიული სიტუაციის მაჩვენებელთა შეტანის შესახებ;

3. მოსახლეობის განვითარების კანონზომიერებები, კერძოდ, საქართველოს დემოგრაფიული პროცესები. ივანე ჯავახიშვილისა და ფილიპე გოგირაძის გარდაცვალების შემდეგ ამ მიმართულებით კვლევა შეწყდა. 50-იანი წლების დასაწყისში ამ სფეროში მეცნიერული მუშაობა განაახლა გია გამყრელიძემ, მაგრამ მისმა უდროოდ გარდაცვალებამ ისევ წარმოქმნა ვაკუუმი. 60-იანი წლების დასაწყისში ამ მიმართულებით, კერძოდ, დემოგრაფიული სტატისტიკისა და მოსახლეობის დემოგრაფიის პრობლემების ინტენსიურ შესწავლას ხელი მოჰკიდეს აკადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა და პროფესორმა ვახტანგ კაოშვილმა. რაც შეეხება უშუალოდ დემოგრაფიულ კანონზომიერებათა კვლევას, იგი დაიწყო პროფესორ გიორგი ადგიშვილის ინიციატივით. 1966 წლიდან იგი აქტიურად მონაწილეობს დემოგრაფიისადმი მიძღვნილ კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, მრავალი სამეცნიერო სტატია გამოაქვეყნა საქართველოს დემოგრაფიულ სიტუაციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, კერძოდ, დემოგრაფიული სიტუაციების რევიონულ თავისებურებებზე;

4. საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული პროცესების კანონზომიერებები და როგორც რესპუბლიკათშორის, ისე შიდარესპუბლიკური მიგრაციის თავისებურებები. მან, ჯერ კიდევ, 70-იანი წლების დასაწყისში წამოაყენა მოსახრება მიგრაციის ორმხრივი მიმართულების შესახებ: სოფელი-ქალაქი, ქალაქი-სოფელი, რომელიც დღეს აღიარებული კონცეფციაა სამეცნიერო ლიტერატურაში;

5. უმაღლესი და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სპეციალისტთა კადრების მომზადებისა და პროგნოზირების პრობლემები, გამომდინარე საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი და პროფესიული სტრუქტურიდან. განსაკუთრებით გაიხარდა ამ პრობლემის მნიშვნელობა სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის პერიოდში, როცა სპეციალისტებისა და პროფესორების მორალური ცვეთა არც თუ ისე იზვიათი მოვლენა და შრომითი პოტენციალის ფორმირების თვისებრივმა მაჩვენებლებმა, რაოდენობრივ მაჩვენებლებთან შედარებით გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა.

დიდა პროფესორ გიორგი ადგიშვილის დამსახურება სტუდენტი-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. მისი აღზრდილებიდან დღეს ბევრი ნაყოფიერად მოღვაწეობს როგორც მეცნიერების, ისე სამეურნეო და სახელმწიფო მმართველობის სფეროში.

გიორგი ადგიშვილის ხელმძღვანელობით მომზადდა 20-ზე მეტი საკან-

დიდატო და სადოქტორო დისერტაცია. მასთან სტაჟირება გაიარეს როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე საზღვარგარეთის მეცნიერ-მუშაკებმა და ასპირანტებმა.

პროფესორი გიორგი ადგიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სტუდენტებისათვის საჭირო სახელმძღვანელოების შექმნას. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მონაწილეობდა პოლიტიკური ეკონომიის პირველი ორიგინალური სახელმძღვანელოს შექმნაში, რომელსაც 1963 წელს უნივერსიტეტის პირველი ხარისხის სამეცნიერო პრემია მიენიჭა.

1980 წელს მან მეუღლესთან – როზეტა ასათიანთან თანაავტორობით გამოსცა „პოლიტიკური ეკონომიის საკითხები“, რომელმაც დიდი აღიარება პოვა სტუდენტ-ახალგაზრდობაში. პროფესორ გიორგი ადგიშვილის ინიციატივითა და თანაავტორობით საქართველოსათვის უმძიმეს პერიოდში, 1992 წელს ორ ნაწილად გამოვიდა დამხმარე სახელმძღვანელო – „ეკონომიკური თეორიის საფუძვლები“, რომელიც იმ ხანად ეკონომიკური თეორიის სწავლობდა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური ფაკულტეტების სტუდენტობა.

1998 წელს პროფესორ გიორგი ადგიშვილისა და პროფესორ როზეტა ასათიანის რედაქტორობითა და თანაავტორობით გამოვიდა პირველი ქართული ორიგინალური სახელმძღვანელო ეკონომიკური თეორიაში, რომელიც სავსებით ესადაგებოდა იმ დროინდელ მოთხოვნებს.

ბატონი გიორგის პირადი თვისებებიდან განსაკუთრებით ხაზგასასმელია მისი გამორჩეული თბილი და ფაქიზი ურთიერთობა კოლეგებთან და სტუდენტებთან.

პრინციპულობითა და პასუხისმგებლობით, მოვალეობის მაღალი გრძობით და სამშობლოს მხურვალე სუფარულით, გულისხმიერებით, კეთილგანწყობით და ადამიანებისადმი პატივისცემის გრძობით შემკული პიროვნება – ასეთად დარჩება საზოგადოების სსოვნაში გიორგი ადგიშვილის – მამულივითი, მეცნიერისა და აღმზრდელის ნათელი სახე. პროფესორმა გიორგი ადგიშვილმა თავისი მეცნიერული საქმიანობით და პედაგოგიური მოღვაწეობით გამორჩეული წვლილი შეიტანა ქართული ეკონომიკური მეცნიერებისა და ახროვნების განვითარებაში. ეს არ არის გადაჭარბებული შეფასება. ამას ადასტურებს გიორგი ადგიშვილის მიერ განვლილი გზის ობიექტური ანალიზი.

**აკადემიკოსი ვლადიმერ ბაბავა, აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე, პროფესორი თეიმურაზ ბერიძე, პროფესორი რევაზ გოგობია, პროფესორი ელგუჯა მეჭავბიშვილი, პროფესორი მიხეილ ჯიბუტი**

„თსუ-ჰიუნდაის“ მორიგი წარმატება

ღასრულდა საქართველოს საკალათბურთო ალიგა, სადაც „თსუ-ჰიუნდაი“ ასპარეზობდა. ბოლო მატჩი ჩვენმა გუნდმა წვალტუბოში გამართა და დამაჯერებლად 92-63 გაიმარჯვა.

„თსუ-ჰიუნდაი“ გათამაშებაში II ადგილი დაიკავა, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალი სეზონისთვის ოთხეულში გარანტირებულად, საკვალიფიკაციო ეტაპების გავლის გარეშე იქნება და ამასთან, მიიღებს სახელმწიფო დაფინანსებას.

ტად თსუ-ს კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი, ირაკლი ხარჯავანიძე დაინიშნა, ხოლო სამწვრთნელო შტაბს საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი ჩაუდგა სათავეში.

გუნდს სეზონის სტარტზე დაემატა ორი ლეგიონერი, ამერიკელი კრისტოფერ ანდერსონი და სამხრეთ აფრიკელი კრისტოფერ გაბრიელი, რომლებმაც საკმაოდ დიდი როლი ითამაშეს გუნდის წარმატებაში.



კრისტოფერ გაბრიელი, რომლის ანგარიშზეც 15 შეხვედრაში 192 ქულა (საშუალო მაჩვენებელი 12,8) და 134 მოხსნა (8,93).

კარგი სეზონი ჰქონდა სანდრო სანაძეს, რომელსაც ჩაგდებული ბურთებით საუკეთესო შედეგი აქვს გუნდში, 239 ქულა 15 შეხვედრაში. (15,93)

ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა ჩვენმა ამერიკელმა ლეგიონერმა კრისტოფერ ანდერსონმა, რომლის თამაშის უარეობაც ნამდვილად ანიჭებდა სიამოვნებას კალათბურთის გულშემბატყვარს. მის ანგარიშზე 13 თამაშში 177 ქულა (13,62)

და 97 „პასია“ (7,46). მიუხედავად იმისა, რომ კრისტოფერით როგორც ქართული, ასევე ევროპული კლუბებიც არიან დაინტერესებულნი, ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ ის შემდეგ სეზონსაც „თსუ-ჰიუნდაიში“ გაატარებს, რაც დიდი ძალა იქნება დასახული ამოცანის შესასრულებლად.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტსა და ჰიუნდაის შორის თანამშრომლობა საკმაოდ კარგი შედეგი გამოიღო. საორგანიზაციო მიმართულებით მინიმუმამდე იყო დაუვანელი ხარვეზები და გუნდს ამ კუთხით პრობლემები არ ჰქონია.

მომავალ სეზონში გუნდი ლეგიონერებით გაძლიერებასა და ასევე, გუნდში მყოფი ახალგაზრდა მოთამაშეების საუკეთესოების შენარჩუნებას გეგმავს, რაც საშუალებას მოგვცემს, გუნდი სუპერ-ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად განვიხილოთ.

წარმატებებს ვუსურვებთ „თსუ-ჰიუნდაის“ მომავალ ასპარეზობებზე.

# ჩვენ ყველა ქართული სახარავი „გავაცოცხლოთ“

## თსუ „გორდელა“ 10 წლიაა

შურთხია ბაროშვილი

თსუ-ს „გორდელა“ 10 წლის იუბილესათვის განსაკუთრებულად ემზადება. 15 მაისს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის დიდ სცენაზე ანსამბლი ძველი და განახლებული რეპერტუარით წარსდგება. გოგონები ამ დღისთვის საგანგებოდ ემზადებიან, რეპეტიციები ზოგჯერ გვიან ღამემდე გრძელდება.

„გორდელა“ ქართულ ენაში მეგრული ენიდან შემოსული სიტყვაა, რომელიც გურულ დიალექტშიც დამკვიდრდა. გორდა – უგადო, მოხრილი და დრეკადი ხმალიც არის, სიმღერაში კი მოქცეულს, ჩახვეულს ნიშნავს, რაც, უმეტესად, გურული სიმღერებისთვის არის დამახასიათებელი.

თსუ-ს „გორდელა“ 2007 წელს, ამავე სახელწოდების ვაჟთა ანსამბლის ბაზაზე ჩამოყალიბდა. მუსიკოსმა თამაზ მამალაძემ გოგონები საგულდაგულად შეარჩია და, ბოლოს, თსუ-ს სხვადასხვა ფაკულტეტის 11 გოგონას მოუყარა თავი. ანსამბლის დაარსების პირველივე წლებში რეპერტუარში საქართველოს ყველა კუთხის ფოლკლორული, საუკუნეების განმავლობაში შემონახული და ამავე დროს მივიწყებული სიმღერები შევიდა, რომელსაც უძველესი ქართული საკრავების თანხლებით ასრულებდნენ.

გოგონები ფიქრობენ, რომ „გორდელას“ პოპულარობა და აღიარება მათი ხელმძღვანელის, მუსიკოს თამაზ მამალაძის დაუღალავი შრომის შედეგია, რომელმაც უძველეს ქართულ საკრავებზე შესრულებული რეპერტუარი შექმნა. მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთი საკრავი მივიწყებულიც კი იყო და მათი აღდგენა ძველი სახელმძღვანელოების დახმარებით გახდა შესაძლებელი.

ქეთი კვიციანი, თამარ ალადაშვილი, ნინო კაციტაძე, სოფო ჭირია, თეა ჭირია, ანა გულუღანი და ნათია ხმალიაძე – დღეს „გორდელა“ ამ

შემადგენლობით მოღვაწეობს. ანსამბლის დაარსების პირველი დღეები თითოეული წევრისათვის შთაბეჭდილებებით აღმოჩნდა. თამარ ალადაშვილი იხსენებს, რომ „გორდელაში“ ხელმძღვანელმა „ძალით“ მიიყვანა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ეს ის ადგილია, საიდანაც ვერავითარი ძალა ვეღარ „გააგდება“. თეა ჭირიასათვის „გორდელაში“ სიმღერა ყველაზე მთავარ საქმიანობად იქცა და დაბალი ბანის ჩონგურზე დაკვრა მისთვის ახლაც უდიდესი სიამოვნებაა. „თითოეული კონცერტი დასამახსოვრებელი და გამორჩეულია. როცა მაყურებლისგან სიყვარულს და, მამასადამე, დადებით ენერჯიას ვიღებთ, სწორედ მაშინ ვხვდებით, რომ ამდენი შრომა მართლაც ღირდა. თუმცა ჩვენი პოპულარობა ბატონი თამაზის დამახსოვრებაა. აქ მუშაობა იმითაც არის საინტერესო, რომ რეპერტუარი უოველწლიურად ახალი სიმღერებით ივსება და მდიდრდება. დღეს ანსამბლი ტრადიციული ხალხური სიმღერების გარდა, თანამედროვე კომპოზიტორების მიერ შექმნილ სიმღერებსაც ასრულებს, თუმცა, მე ყველაზე მეტად ძველი რეპერტუარი მიყვარს“, – ამბობს თეა ჭირია.

ნათია ხმალიაძეს ხალხური სიმღერა დედამ შეაყვარა და უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ სიხარულით გაწევრიანდა ანსამბლში. მასაც, ისევე როგორც ანსამბლის სხვა დანარჩენ წევრებს, „გორდელა“ მეორე ოჯახად მიაჩნია და ყოველი ახალი კონცერტის დროს მიღებული ემოცია დიდხანს მიჰყვება.

ქეთევან კვიციანია გურიიდან არის. დასთან ერთად ისიც ზავგობიდან მღერის. ანსამბლის ხელმძღვანელს თამაზ მამალაძეს ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში, ერთ-ერთი ხალხური მუსიკალური ფესტივალის დროს შეხვდა. უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ კი მამის რჩევით ანსამბლის წევრი გახდა. „რეპეტიციის პირველი დღე ახლაც კარგად მახსოვს, გოგონების ნაწილი უკვე შეკრებილი იყო. მეც გავიარე კასტინგი და ანსამბლის წევრი გავხდი.



“ უახლოეს მომავალში საიუბილეო აღბრუნის ჩანარსაც ვგაგაზავთ, რომელზეც მუშაობაც უკვე დავიწყეთ

ჩვენთვის ყველა კონცერტი განსაკუთრებულია, რადგან დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ მსმენელის წინაშე, თუმცა იუბილესთვის მზადებას სხვანაირი ღელვა ახლავს თან. ანსამბლის წარმატების ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ რეპერტუარი ძალიან მრავალფეროვანია. იუბილესე მუსიკოსების წინაშე წარვდგებით როგორც მსმენელისთვის საყვარელი და ძველი სიმღერებით, ისე ახალი, განახლებული რეპერტუარითაც. ეს ანსამბლი და უნივერსიტეტი ჩემი მეორე სახლია. მიხარია, რომ დღესაც აქ ვაგრძელებ მავსტრატურაში სწავლას“, – ამბობს ქეთი კვიციანი.

შვიდი განსხვავებული ქალის „მოვლა“ არც ისე ადვილია, ყველას თავისებური მიდგომა სჭირდება, ზოგი შენიშვნაზე ტირილს იწყებს, ზოგიერთი – კიუტია, მაგრამ ყველას ერთად საქმის სიყვარული გვაერთიანებს. „გორდელას“ უკვე მთელი საქართველო აქვს შემოვლილი, ანსამბლი რამდენიმე ფესტივალის ლაურეატია, ვმონაწილეობთ, ასევე, საქველმოქმედო კონცერტებშიც. მნიშვნელოვანი იყო ჩვენი გასტროლები საზღვარგარეთ, მათ შორის საფრანგეთში, ლიტვაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, უკრაინაში, ისრაელში. უახლოეს მომავალში საიუბილეო აღბრუნის ჩაწერასაც ვგეგმავთ, რომელზეც მუშაობაც უკვე დაიწყეთ“, – ამბობს თამაზ მამალაძე.

როგორც ანსამბლის წევრებმა გაგვიზიარეს, რუსთაველის თეატრში დაგეგმილ საიუბილეო ღონისძიებაზე, რომლის მხარდამჭერები თსუ, საქართველოს კულტურის პალატა, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს საერთაშორისო ფონდი, თბილისის მერია, რესტორნების ჯგუფი: „წიქვილი“ და რუსთაველის თეატრი არიან, „გორდელას“ ერთგულ მსმენელს უამრავი სიურპრიზი ელის. უახლოეს მომავალში დაგეგმილია გასტროლები საფრანგეთში, სადაც გაიმართება საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

„ანსამბლის არსებობა ამ სახით, ჩემი აზრით, დღეს საჭირო და აუცილებელიც არის, რადგან ამ გოგონებმა გააცოცხლეს ძველი ქართული საკრავები და სიმღერები, თავიანთი სტილიც დაიმკვიდრეს – „გორდელა“ ყველა სხვა ანსამბლისგან სწორედ ამით გამოირჩევა და სწორედ ეს არის მიზეზი, რომ მისი პოპულარობა დღითიდღე იზრდება“, – ამბობს თამაზ მამალაძე.

“ იამორით მიწა ვთქვა, რომ გვილი განსხვავებული ქალის „მოვლა“ არც ისე ადვილია, ყველას თავისებური მიდგომა სჭირდება, ზოგი შენიშვნაზე ტირილს იწყებს, ზოგიერთი – კიუტია, მაგრამ ყველას ერთად საქმის სიყვარული გვაერთიანებს



**მთავარი რედაქტორი**  
ნინო კაკულია

**მთავარი სამცხალისტი**  
მაია ტორაძე

**ტექნიკური რედაქტორი**  
მანანა ჯურხაძე

---

**შურთხილისტები:**

ნატო ობოლაძე  
თამარ დადიანი  
შურთხია ბეროშვილი

---

**ფოტოკორესპონდენტი**  
ანა ბოლქვაძე

**კომპ. უზრუნველყოფა**  
ზაზა გულაშვილი

---

**რედაქციის წევრები:**

რისმაგ გორდელიანი,  
იაგო კაჭკაჭიშვილი,  
ეთერ ხარაიშვილი,  
ლადო პაპავა,  
მანანა შამილიშვილი,  
თემურ ნადარეიშვილი,  
ლადო მინაშვილი,  
მორის შალიკაშვილი,  
ნინო ჩიხლაძე,  
გიორგი ჯიანი,  
არსენ გვერტაძე,  
მარიამ ცისკაძე,  
ნინო ქალაგანიძე,  
ირმა რუხაძე

---

**მისამართი:**  
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13  
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)  
2 22 36 62

**ვებგვერდი:**  
[newspaper.tsu.edu.ge](http://newspaper.tsu.edu.ge)

**ელ.ფოსტა:**  
[tsunewspaper@tsu.ge](mailto:tsunewspaper@tsu.ge)

---

**სამუშაო:**  
თამარ ჩიქოვანი,  
იაგო პაპავაშვილი,  
რამაზ საყვარელიძე,  
გიორგი პაპალიაძე

**ყოველ შაბათს, 19.00 სთ.**

**უყურეთ!**  
ყველა სიხალსე - აქცენტებით,  
პრობლემას - განსჯით, ანგელოსა  
და წარსულს - გადაფასებით  
გადაცემავთ „უნივერსია“  
საზოგადოებრივი გაყვების  
მეორე არხის ეთერში